ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 7 აპრილი, 2022 №69 (8847) ფასი: 80 თეთრი

თბილისში მატარებელი მამაკაცს დაეჯახა

გვ.5

„ინტერპრესნიუსის“ ფოტოკორესპონდენტსა და „ტვ პირველის“ ოპერატორზე თავდასხმაში ბრალდებულებს 1-წლიანი პატიმრობა მიესაჯათ

„დასავლეთმა შეიძლება სანქციები ჩვენც დაგვიწესოს“

გვ.2



იაგო ხვიჩია: „ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ ნებისმიერ შეცდომას ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლო იარაღად აქცევენ“

გვ.3

„უკრაინამ თუ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა საქართველოზე, უნდა აღიაროს“

პაატა ზაქარეიშვილი: „ზელენსკიმ გაეროს ჩართვისას ახსენა საქართველო. ყველა ლაპარაკობს ჩვენზე, ჩვენ გარდა!“

„საქართველოში მოჩვენებითი მშვიდობაა, სომარ მდგომარეობაში ვართ“

გვ.3

დათო ლორთქიფანიძე: „ბაიდენმა პირდაპირ თქვა, თუ რუსეთი ერთ ნაბიჯსაც გადმოდგამს ნატოს ქვეყნის ტერიტორიაზე, საშინელი რეაქცია გვექნებაო, ანუ ხაზს უსვამს, თუ ნატოს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შევა“

გვ.4

„პუტინი საქართველოსთვისაც ისეთივე მტერი და დამპყრობელია, როგორიც უკრაინისთვის“

გედევან ფოფხაძე: „საქართველოში თუ საკითხი ასე დადგება – მშვიდობა უფრო ღირებულია თუ თავისუფლება! – ეს ისტორიის გადაწერაა“



გვ.5

მსოფლიო რუსეთის ფაშიზმზე ალაპარაკდა

გვ.4

საქართველოს პრემიერ-მინისტრი შვედეთის სამეფოს თავდაცვის მინისტრს შეხვდა

გვ.2

გიორგი ქველიაშვილს ლაგუნა ვერეზე სროლისთვის პატიმრობა შეეფარდა

გვ.5

დაჭრილმა მარლენ მეტონიძემ კლინიკა დატოვა

2 ქარლ ჰარცელი: „უკრაინის სამხედრო დაზვერვის ბრალდებები ძალიან სერიოზულია“

6 აშშ უკრაინას „ჯაველინის“ ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემებს მიაწვდის

2 ლევან დავითაშვილი: „საწვავის ფასი დაიწევს“

6 შარლ მიშელი: „თავშესაფარს მივცემთ რუს ჯარისკაცებს, რომლებიც ბრძანებებს არ დაემორჩილებიან“

1993230720223

„დასავლეთმა შეიძლება სანქციები ჩვენც დაგვიწესოს“

იაგო ხვიჩია: „ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ ნებისმიერ შეცდომას ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლო იარაღად აქცევენ“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის დეპუტატი, პარტია „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი იაგო ხვიჩია პასუხობს.

– ბატონო იაგო, თქვენთვისაც ცნობილია, რომ სერიოზული ბრალდებები წამოვიდა უკრაინულის მხრიდან ჩვენი ხელისუფლების მისამართით. „ქართული ოცნება“ კი, თავის მხრივ, ნაციონალურ მოძრაობას რთავს ამ პროცესში და ღიად აბრალებს, რომ ის არის დამნაშავეე, ქვეყნის მტერი და სწორედ ის ცდილობს მეორე ფრონტის ხაზის გახსნას საქართველოშო. როგორია თქვენი შეფასებები, რამდენად სწორად იქცევა უკრაინული მხარე, როდესაც ასე ღიად გვადანაშაულებს და, როგორ ფიქრობთ, არის ეს ინფორმაციები გადამოწმებული?

– ვერ გეტყვით, რთულია ვარაუდებით საუბარი. თუ საქართველოში მართლაც არსებობს რაიმე ტიპის დერეფანი და ხალხი ამაზე ფულს აკეთებს, ეს არ დაიმალება. ეს ხალხიც გამოჩნდება და ეს ამბავიც გაირკვევა. თუმცა, მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ განცხადებას პრევენციული ხასიათი ჰქონოდა, რომ რაღაც ინფორმაცია გვაქვს, რომ მსგავს რაღაცას აპირებთ და ხელი არ წაგიცდეთ. შესაძლოა, ასეთი მოტივიც ჰქონოდა ამ განცხადების გამოქვეყნებას.

– ეს ძალიან მძიმე ბრალდებაა. თქვენ რას იტყვით?

– გააჩნია, ვისთვის არის მძიმე.

– რამდენად უშვებთ იმ ფაქტს, რომ ამაზე წამსვლელია ჩვენი ხელისუფლება?

– ვერ გეტყვით, ეს არ არის ჩემს დაშვებაზე. ამ ხელისუფლებაში ბევრი სხვადასხვანაირი ადამიანია, ბევრი სხვადასხვანაირი ინტერესით და, შესაბამისად, ვის რა მოუნდება, ეს ჩვენ არ ვიცით. სწორედ ამიტომ არის უკრაინული მხარის განცხადება პრევენციული, რომ მსგავსი რამე არ მოუვიდეს თავში აზრად ვინმეს. რა მოუვა თავში საქართველოს ხელისუფლებას, მე მაგაზე გარანტიის გაცემა არ შემიძლია.

– როგორ ფიქრობთ, საქართველოს ხელისუფლების გვერდის ავლით ვინმეს შეეძლო მსგავსი რამის გაკეთება, როდესაც კონტრაბანდულ იარაღზეა საუბარი?

– ხელისუფლების გარეშე შეუძლებელია მსგავსი დერეფნების მოწყობა! უბრალოდ, ეს დერეფანი არსებობს თუ არა, ეს უნდა გავარკვიოთ.

– ხელისუფლება ღიად ადანაშაულებს ნაცმოძრაობას და, თქვენი აზრით, რამდენად შედის მსგავსი პროვოკაციები ნაციონალური მოძრაობის ინტერესში? ხელისუფლება სულ აპელირებს, რომ უკრაინელებს ხელისუფლებაში ჰყავთ ომის პარტიის წევრები. წავიდოდა ამაზე ნაცმოძრაობა?

– ნაციონალური მოძრაობა ეცდება, რომ „ქართული ოცნების“ ნებისმიერი შეცდომა თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და პირიქით. ნებისმიერ რამეს ორივე პარტია აქცევს ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლო იარაღად. ნებისმიერ რამეს და მათ შორის ამასაც.

– დასავლეთმაც დიდი ყურადღება დაუთმო ამ საკითხს. რამდენად ზარალდება ჩვენი ქვეყანა ამ სიტუაციიდან გამომდინარე? ბრალდება საკმაოდ სერიოზულია.

– ჩვენ ვზარალდებით იმის გამო, რომ არასწორი პოზიცია გვიკავია უკრაინის თემასთან დაკავშირებით. ნეიტრალურ დამკვირვებელს შეიძლება ეგონოს, რომ ჩვენი ქვეყანა არ გულშემატკივრობს უკრაინას. აი, ეს არის მთავარი პრობლემა, როდესაც ასეთი პოზიცია გიკავია, ხოლო სხვა დანარჩენი პრობლემები სწორედ აქედან გამომდინარეობს.

– სათანადოდ ვერ წარმოაჩენს ჩვენი ხელისუფლება საკუთარ მხარდაჭერას უკრაინისადმი თუ, უბრალოდ, ეშინია რუსეთის და ამიტომ აქვს ეს პოზიცია?

– რა თქმა უნდა, ეშინიათ, აბა, როგორ შეიძლება, რუსეთი გიყვარდეს. ახლა მე რომ ვთქვა, ბიძინას უყვარს რუსეთი და პუტინი, ეს ხომ არ არის მარტივად დადასტურებადი ამბავი. რაც შეეხება შიშს, შესაძლოა, შიშით გაამართლო ეს ყველაფერი. მოკლედ, მათ პოლიტიკას შეიძლება შიშიც დავარქვათ და შეიძლება ვუწოდოთ ქართული დიპლომატიაც, რომ საკუთარ ამომრჩევლებთან გააგზავნონ მესიჯი, ჩვენ მშვიდობა გვინდა, ჩვენ არ გვინდა ომი და რეალურად აფიქსირებენ ისეთ პოზიციას, რის გამოც საქართველოს დასავლურ მომავალსაც კი აყენებენ ეჭვქვეშ.

– ამბობენ, რომ ხელისუფლების ეს პოლიტიკა გვაზარალებს როგორც უკრაინასთან ურთიერთობებში, ისე – ევროინტეგრაციის საკითხში. რა მოლოდინები გაქვთ, როგორ განვითარდება პროცესები და რა საფრთხეები ემუქრება ამ ფონზე ჩვენს ქვეყანას?

– საფრთხე ნამდვილად ემუქრება. როდესაც რკინის ფარდა ჩამოეშვება, ამ ფარდის მიღმა ქვეყნების ნაწილი რუსეთთან ერთად აღმოჩნდება, ნაწილი კი – დასავლეთის მხარეს, როგორც უკრაინა. აი, ჩვენ სად ვიქნებით ამ დროს, ეს ახლანდელ ჩვენს ქმედებებზეა დამოკიდებული. ჩვენ გვაზიანებს ჩვენი საკუთარი უაზრო პოზიცია, როდესაც არავინ იცის, ვის გულშემატკივრობ, უკრაინას თუ რუსეთს! ხელისუფლება გაიძახის ერთსა და იმავეს, რომ მშვიდობა უნდა და ომი არ უნდა! ომი არავის არ უნდა. როგორ შეიძლება, ჭკუათმყოფელ ადამიანს უნდოდეს ომი! მაგრამ ამის გამო შენი პოზიცია არ უნდა იყოს ისეთი, რომ შენს დასავლეთისკენ სწრაფვას შეექმნას საფრთხე.

– ჩვენი ხელისუფლების პოზიციიდან გამომდინარე, რამდენად არის საფრთხე, რომ ჩვენს ქვეყანასაც დაემუქროს სანქციები დასავლეთის მხრიდან?

– ყველაფერი მოსალოდნელია, არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. თუმცა, ისეთი ვითარებაა, რომ ცალსახად და გადაჭრითაც ვერაფერს იტყვი. ყველა პროცესს ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ.

კარლ ჰარცელი: „უკრაინის სამხედრო დაზვერვის ბრალდებები ძალიან სერიოზულია“

– ეს არის ძალიან სერიოზული ბრალდებები უკრაინის სამხედრო დაზვერვის მხრიდან და სერიოზულად უნდა იქნას მიღებული.

ამის შესახებ საქართველოში ევროკავშირის ელჩმა კარლ ჰარცელმა განაცხადა.

– ჩვენ ვნახეთ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან მკაფიო პასუხი, რომ ასეთი საქმიანობა არ ხორციელდება. რაც შემეხება მე ამასთან დაკავშირებით არანაირი ინფორმაცია არ მაქვს. ძალიან მნიშვნელოვანია, მხარეებმა განაგრძონ ინფორმაციის გაცვლა ამ საკითხებთან დაკავშირებით, – აღნიშნა ელჩმა.

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს ინფორმაციით, რუსეთი სანქციების ქვეშ მოქცეული სამხედრო დანიშნულებისა და სხვა სახის პროდუქტის კონტრაბანდის არხებს ქმნის, რომლებიც, მათ შორის, საქართველოს ტერიტორიაზე ქვეყნის ხელისუფლების თანხმობის საფუძველზე გაივლის.

– ჩვენ ვმუშაობთ საქართველოსა და სხვა ქვეყნებთან ერთად გაეროში, ეუთოსა და ევროპის საბჭოში იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტად მოვახდინოთ რუსეთის იზოლაცია.

მოხარული ვარ, რომ საქართველო მხარს უჭერს ჩვენს პოზიციას ამ ორგანიზაციებში. მიმდინარე კვირის ბოლოს, იმედი გვაქვს, რომ რუსეთს გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოში უფლებას შევუჩერებთ იმის საპასუხოდ, რაც ბუჩაში ვიხილეთ და ამ საკითხშიც გვაქვს საქართველოს მხარდაჭერის იმედი, – განაცხადა კარლ ჰარცელმა.

მისი თქმით, ევროკავშირი ისეთი პარტნიორებისგან, როგორიც საქართველოა, უკრაინასთან და უკრაინის მოსახლეობასთან დაკავშირებით სოლიდარობას ელის.

– მსურს, საქართველოს მოქალაქეებთან ერთად გამოვხატო მწუხარება იმ საშინელებებთან დაკავშირებით, რაც ბუჩასა და უკრაინის სხვა ადგილებში ხდება. მივესალმებით იმ ფაქტს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორები იძიებენ ამ ქმედებებს. პარალელურად, მხარს ვუჭერთ უკრაინელ პროკურორებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს ინფორმაციის შეგროვებაში.

რაც შეეხება რუსეთის მიერ უკრაინაში აგრესიის განხორციელებაზე ჩვენს რეაგირებას, 5 აპრილს ჩვენ 19 რუსი დიპლომატი გავაძევეთ. დარწმუნებულები ვართ, რომ სანქციების ზეგავლენა გაგრძელდება. ახლა ევროკავშირის მხრიდან მიმდინარეობს მსჯელობა სანქციების მე-5 პაკეტთან დაკავშირებით. პარალელურად, ჩვენ ვაწვდით იარაღსა და აღჭურვილობას უკრაინის შეიარაღებულ ძალებს, ასევე უკრაინას ვაწვდით ჰუმანიტარულ დახმარებას.

ამასთან, ჩვენ ვმუშაობთ საქართველოსა და სხვა ქვეყნებთან ერთად გაეროში, ეუთოსა და ევროპის საბჭოში იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტად მოვახდინოთ რუსეთის იზოლაცია. მოხარული ვარ, რომ საქართველო მხარს უჭერს ჩვენს პოზიციას ამ ორგანიზაციებში. მიმდინარე კვირის ბოლოს, იმედი გვაქვს, რომ რუსეთს გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოში უფლებას შევუჩერებთ იმის საპასუხოდ, რაც ბუჩაში ვიხილეთ და ამ საკითხშიც გვაქვს საქართველოს მხარდაჭერის იმედი.

რაც შეეხება, რას ველით ისეთი პარტნიორებისგან, როგორიც საქართველოა, ეს არის სოლიდარობა უკრაინასთან და უკრაინის მოსახლეობასთან დაკავშირებით. ეს ეხება საჭირო ზომების მიღებას რუსეთის იზოლაციის მიზნით. ძალიან გვსურს, რომ არ ვიხილოთ რომელიმე ქვეყანა, რომელიც ძირს უთხრის ჩვენს სანქციებს, – აღნიშნა ელჩმა.

ლევან დავითაშვილი: „საწვავის ფასი დაიწევს“

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ლევან დავითაშვილის განცხადებით, მოლოდინია, რომ საწვავის ფასი დაიწევს.

როგორც დავითაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, აღნიშნული ვარაუდის საფუძველი დაბალ ფასში ახლად გაფორმებული კონტრაქტებია.

– ჩვენი მოლოდინია, რომ საწვავის ფასი დაიწევს. საფუძველი არის ახლად გაფორმებული კონტრაქტები, რომლებიც უფრო დაბალ ფასებშია და რომლებიც ჯერ საქართველოში არ შემოსულა, მაგრამ შემოვა.

ასევე გვაქვს დიალოგი კერძო სექტორთან, რომ ამ სიტუაციით ვინმემ ბოროტად არ ისარგებლოს. ფიუჩერსული გარიგებები მიმდინარე წლის ნავთობზე არის დაწეული. წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო იწევს და წლის ბოლოს ფასები კიდევ უფრო დაბალია. ტენდენცია კლებისკენაა და პიკური რეალობა გადავლილია, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი შვედეთის სამეფოს თავდაცვის მინისტრს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შვედეთის სამეფოს თავდაცვის მინისტრ პეტერ ჰულთქვისტს შეხვდა.

შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ორ ქვეყანას შორის არსებულ მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებზე, განსაკუთრებით თავდაცვის სფეროში თანამშრომლობაზე. ხაზი გაესვა, რომ 2022 წელს საქართველოსა და შვედეთის სამეფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენის 30 წლისთავი აღინიშნება, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ორი ქვეყნის მტკიცე პარტნიორობას.

ასევე, განიხილეს ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ საქართველოს მიერ წარდგენილი ოფიციალური განაცხადი.

პრემიერმა ხაზი გაუსვა ამ პროცესში მოკავშირეების მხარდაჭერის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ირაკლი ღარიბაშვილის თქმით, საქართველო აფასებს შვედეთის სამეფოს მხრიდან ევროკავშირში ინტეგრაციის შეუქცევადი პროცესისა და ევროპული რეფორმების დღის წესრიგის მხარდაჭერას.

პეტერ ჰულთქვისტმა პრემიერ-მინისტრს დაუდასტურა შვედეთის სამეფოს მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებს და კიდევ ერთხელ აღინიშნა საქართველოს პოლიტიკური მხარდაჭერა და სოლიდარობა უკრაინისადმი, მათ შორის საერთაშორისო ფორმატებში.

ხაზი გაესვა საერთაშორისო საზოგადოების მაქსიმალური ძალისხმევის როლს ომის რაც შეიძლება მალე დასრულებისთვის.

შეხვედრას შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ულრიკ თიდესტრომი, თავდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის დირექტორი იოჰან ლაგერლოფი და საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე ესწრებოდნენ.

თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება 20 მილიონით შემცირდა

„აი ფაქტის“ კვლევა

თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება 20 მილიონი ლარით შემცირდა – აღნიშნული ინფორმაცია „აიფაქტის“ გამომძიებელმა ჟურნალისტებმა დაადგინეს.

საქართველოს ხელისუფლებამ თავდაცვის სამინისტროსთვის იმდენი გამოყო, რა შესაძლებლობაც აქვს – ასე პასუხობენ „ქართული ოცნების“ დეპუტატები იმ სკანდალურ მონაცემებს, რომლის მიხედვით, დღეს საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი ნაკლებია 2006 წელთან შედარებით.

„ქართული ოცნების“ დეპუტატი, ბექა დავითულიანი, აცხადებს, რომ თავდაცვის სამინისტროს იმ რაოდენობის ბიუჯეტი აქვს, რისი საშუალებაც ქართულ ეკონომიკას გააჩნია.

– იმ ეკონომიკის მქონე ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, საკმარისი არ და ვერ იქნება. კიდევ უფრო მეტი გვენდომება, მაგრამ ბიუჯეტი იყო ოპტიმალური იმ პირობებში, როცა ის დავამტკიცეთ.

ამ ქვეყანას ჰყავს თავისი თავდაცვის ძალები, აქვს თავისი უსაფრთხოების პოლიტიკა, ჯვარი გვწერია, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ომი არ მოხდეს, თუმცა ეს ქვეყანა თავს დაიცავს, თუ ეს დღის წესრიგში როდესმე დადგება, – განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, ბექა დავითულიანმა.

ოპოზიცია თავდაცვის მინისტრს პარლამენტში იბარებს, რათა წლების განმავლობაში დაგროვილ კითხვებს პასუხები გაეცეს. თუმცა, ამ ეტაპზე უცნობია, მივა თუ არა მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე საკანონმდებლო ორგანოში.

ISSN 1987-9385

ახალი ამბები

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი

რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 599-532-690

დირექტორი – ზურაბ ბერიძე

გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge

ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„უკრაინამ თუ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა საქართველოზე, უნდა აღიაროს“

პაატა ზაქარეიშვილი: „ზელენსკიმ გაეროს ჩართვისას ახსენა საქართველო. ყველა ლაპარაკობს ჩვენზე, ჩვენ გარდა!“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი-კონფლიქტოლოგი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

— ბატონო პაატა, ბოლო პერიოდში ისედაც დაძაბული ურთიერთობებია საქართველო-უკრაინას შორის და ამ ფონზე სერიოზული ბრალდებები წამოვიდა უკრაინულის მხრიდან. რაზე დაყრდნობით ვრცელდება მსგავსი ინფორმაციები? შეცდომაშია შეყვანილი უკრაინული მხარე თუ მართლაც არის ჩვენი ხელისუფლება ამაზე წამსვლელი?

— ვფიქრობ, უნდა ჩატარდეს გარკვეული სახის სათანამშრომლო ღონისძიებები. ჩვენი ხელისუფლება უცნაურად იქცევა, როცა არც კი დაფიქრდება ხოლმე და ყველაფერს მაშინვე აბრალებს ნაციონალურ მოძრაობას. ამით თავს ყიდის და მის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ჩნდება. არ იქცევა სწორად, როცა ასე პირდაპირ, უაპელაციოდ აბრალებს შიდაპოლიტიკურ კონტექსტს ამ ყველაფერს. იმედი მაქვს, უკრაინამ არასწორი ინფორმაცია მიიღო. რა თქმა უნდა, ამით არ უნდა დასრულდეს ვითარება და ყველაფერი უნდა შემოწმდეს ისე, როგორც საჭიროა.

უკრაინა იღებს უამრავ სადაზვერვო ინფორმაციას. მსოფლიო რადგან ვერ ეხმარება მას იარაღითა და იმ ფორმით, როგორც მას უნდა, ამიტომ ეხმარება სხვა მიმართულებებით, პირველ რიგში, სადაზვერვო ინფორმაციას აწვდის. ეს ინფორმაცია აშკარად მიწოდებულია მესამე მხარის მხრიდან.

— და ვინ არის ეს მესამე მხარე?

— ბუნებრივია, უკრაინა ვერ იტყვის და ღიად ვერ გამოააშკარავებს მესამე მხარეს. ეს ერთ-ერთი მთავარი პირობა იქნება ნებისმიერი სადაზვერვო მასალის მიღებაზე, რომ არავითარ შემთხვევაში არ მოხდეს გამოაშკარავება და უნდა მოხდეს, როგორც უკრაინული მასალის გასაღება. საჭიროა მუშაობა, უკრაინული მხარის მტკიცებულებები უნდა იყოს უტყუარი.

— ასეთ განცხადებებს ასე ჰაერზე გააკეთებდა უკრაინული მხარე?

— ვერ გააკეთებდა ჰაერზე. რაღაცა ინფორმაცია ექნებათ, რომელიც შეიძლება არ იყოს ზუსტი. ჩემი აზრით, ეს უფროა სიმართლესთან, რაღაც ინფორმაციას მიიღებდნენ, რომელიც არ იყო ზუსტი და ვინაიდან ლეგენდაა, რომ საქართველოს ხელისუფლება უფრთხის რუსეთს და ყველანაირად ცდილობს, არ გააღიზიანოს, ამ ფონზე, შეიძლება, ასეთი მცდარი ნაბიჯებიც კი გადადგან.

— ბატონო პაატა, რამდენად უშვებთ იმას, რომ როგორც ხელისუფლება ამბობს, მართლაც ჩვენი მტრები მუშაობენ ამაზე და მიზანმიმართულად ცდილობენ ყალბი ინფორმაციებით საქართველო-უკრაინას შორის ურთიერთობების დაძაბვას?

— არც ამ თემას გამოვრიცხავ. გეთანხმებით, ეს ვარიანტიც აუცილებლად განსახილველია და დასაშვებია, თუმცა ეს არ უნდა იყოს ერთადერთი ვარიანტი ამ მიმართულებით. ნებისმიერ შემთხვევაში, მოწოდება უკრაინული მხარისთვის, რომ მოგვაწოდონ უტყუარი ინფორმაცია და მასალები, არის აბსოლუტურად სამართლიანი. თუ უკრაინა ვერ მოგვაწვდის ასეთ მტკიცებულებას, მაშინ დარჩება ჰაერში გამოკიდებული და ჰაერიდან შექმნილი ინფორმაცია, რაც ნამდვილად არ წაადგება უკრაინა-საქართველოს ურთიერთობებს, ასევე — არც უკრაინის რეპუტაციას სამომავლოდ. ასე რომ, ახლა ბურთი უკრაინის მხარესაა, საქართველოს ხელისუფლება მოუწოდებს, რომ წარმოადგინონ უტყუარი ინფორმაციები. მათ უნდა წარმოადგინონ ეს მტკიცებულებები. თუ ვერ წარმოადგენენ, მაშინ უნდა აღიარონ, რომ არასწორი ან გადაუმოწმებელი ინფორმაცია გაავრცელეს. რაღაცით უნდა უპასუხონ ამას, ან დაამტკიცონ ეს ბრალდება, ან უარყონ.

— ზოგად პოლიტიკას რაც შეეხება, ბატონო პაატა, ძალიან მკვახეა ჩვენი პრემიერ-მინისტრის განცხადებები, რომლებსაც ძალიან მტკივნეულად აღიქვამს ომში მყოფი უკრაინა. მიზანმიმართულია ეს განცხადებები თუ რა ხდება?

— როგორც ჩანს, პრემიერი ძალიან ემოციურად განიცდის, რომ ასეთი ძლიერია ნაციონალური მოძრაობა და ვერაფერი ვერ უქნეს მათ. მათი ბრალია, დღეს თუ ნაციონალური მოძრაობა ძლიერია. იმას ვერ ხვდებიან, რომ რაც უფრო მეტჯერ ახსენებენ, ამით უფრო ძლიერდება ეს პარტია. ეს მათი ბრალია, პირველ რიგში, თვითონვე გაიხადეს მთავარ ოპონენტებად. ახლა კი ხაფანგში არიან. ამაზე გაბრაზებული პრემიერი კი ხშირ შემთხვევაში დაუკრეფავში გადადის. ის გაბრაზებულია, ემოციურია, ვერ აკონტროლებს თავის სიტყვებს და იმას ვერ ხვდება, რომ რაც უფრო მეტს ლაპარაკობს, უფრო მეტ შეცდომას უშვებს, საბოლოო ჯამში, თავის თავზე ბრაზდება.

— შიდადაპირისპირებაა „ოცნებაში“ და კადრების გადალაგება მიმდინარეობსო. ზალკალიანიც ამიტომ გაუშვეს?

— არა. ზალკალიანის გაშვებაზე დიდი ხანია საუბრობენ. ჯერ კიდევ კორონავირუსამდე იყო ამაზე საუბარი. ზალკალიანი რომ წავიდოდა ადრე თუ გვიან და წავიდოდა სწორედ ამერიკაში, ეს უკვე ცნობილი იყო. საგარეო საქმეთა სამინისტროში უკვე ლოცულობდნენ, როდის წავაო. უბრალოდ, ვერ პოულობდნენ შემცვლელს. ჯერ ხელაშვილზე ლაპარაკობდნენ და, როგორც იქნა, იპოვეს დარჩიაშვილი. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ დარჩიაშვილი არ არის საკადრო დიპლომატი. ორჯერ იყო დიპლომატიურ სამსახურში და ორივეჯერ პოლონეთში. როგორც წესი, მინისტრები ასე ვერ ხდებიან. ძალიან ბევრი საფეხური და ეტაპია გასავლელი. დარჩიაშვილს ძალიან უცნაური კარიერა აქვს. ის ან ძალიან დაახლოებული პირია ღარიბაშვილთან და პრემიერმა გაიმყარა პოზიციები ამით, ან უსაფრთხოების თანამშრომელია. მე მასზე ვერც კარგს ვიტყვი და ვერც ცუდს. ჯერ არაფერი გაუკეთებია, ვნახოთ, დაველოდოთ.

— უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი იმედს გამოთქვამს, რომ ახალი მინისტრის პირობებში ურთიერთობები გამოსწორდება.

— ღმერთმა ქნას, ასე იყოს. კულება იყენებს მომენტს, რათა ახლა მაინც შემოატრიალოს საქართველო უკრაინისაკენ, უფრო ზუსტად — თავისი თავისაკენ. რაც უფრო მეტს ილაპარაკებს საქართველო თავის თავზე, რომ ის არის დაზიანებული, ის არის ოკუპირებული, რომ რუსეთმა უნდა შეასრულოს თავისი პირობა და გაიყვანოს ჯარები 12 აგვისტოს ხელშეკრულების შესაბამისად, რომელსაც თავად მოაწერა ხელი რუსეთმა. ამას ხომ ყოველთვის ამბობდნენ, აქ ახალი არაფერია, ახლა რა დაემართათ?! ამდენ ხანს არ დაუწყია ომი ამ განცხადებების გამო და ახლა რატომ დაგვიწყებს ომს? ამის თქმას წინ რა უდგას, რატომ არ ვახსენებთ მსოფლიოს ჩვენს გასაჭირს? ახლა ამისთვის ყველაზე კარგი მომენტია! უკრაინას უნდა, რომ საქართველომ თავის თავზე, თავის პრობლემებზე ილაპარაკოს და ეს შეახსენოს მსოფლიოს, რათა მსოფლიო უფრო მკაცრი იყოს რუსეთის მიმართ. ზელენსკიმ გაეროს ჩართვისას ახსენა საქართველო. მოკლედ, ყველა ლაპარაკობს ჩვენზე, ჩვენ გარდა! რუსეთმა უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულება. ეს ძალიან მნიშვნელოვანია! მის მიერ ხელმოწერილ დოკუმენტს ვახსენებთ რუსეთს, რომელიც თავადვე დაარღვია, არც ჯარი გაუყვანია და აღიარა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

— რამდენად აზარალებს ქვეყანას ხელისუფლების ასეთი პოზიცია და დამოკიდებულება?

— ჩვენი ხელისუფლების ასეთი პოზიცია საბოლოოდ ძალიან გვაზარალებს. ადრე თუ გვიან ეს ომი დასრულდება უკრაინაში, ადრე თუ გვიან უკრაინა აუცილებლად გაიმარჯვებს და ჩვენ სად ვიქნებით ამ დროს?! გაუგებარია, ვის თამაშს თამაშობს ჩვენი ხელისუფლება, რა პოლიტიკა აქვს არჩეული. არ მიყვარს ხოლმე ამის თქმა, მაგრამ სუფთა პრორუსულ პოლიტიკას ატარებენ! აბა რა არის პრორუსული პოლიტიკა, თუ არა ეს!

„საქართველოში მოჩვენებითი მშვიდობაა, საომარ მდგომარეობაში ვართ“

დათო ლორთქიფანიძე: „ბაიდენმა პირდაპირ თქვა, თუ რუსეთი ერთ ნაბიჯსაც გადმოდგამს ნატოს ქვეყნის ტერიტორიაზე, საშინელი რეაქცია გვექნებაო, ანუ ხაზს უსვამს, თუ ნატოს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შევა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს მე-8 მოწვევის პარლამენტის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დათო ლორთქიფანიძე პასუხობს.

— ბატონო დათო, „ოცნებამ“ დავით ზალკალიანი საგარეო საქმეთა მინისტრობიდან გადაყენა და ილია დარჩიაშვილით ჩაანაცვლა, ანუ საგარეო საქმეთა მინისტრი ამერიკაში ელჩად გაუშვა. რატომ განხორციელდა ეს ცვლილება, ზალკალიანისაგან რა ეწყინათ, გადაყენების მიზეზი რა იყო?

— არ ვიტყოდი, რომ ამას ნაწყენობის სუნი ასდის. ზალკალიანი სახლში არ გაუშვიათ. ის ამერიკაში საქართველოს ელჩად გაუშვეს. ამერიკაში ელჩობა პატარა საქმე არ არის. ამერიკა უდიდესი ქვეყანაა, საქართველოს პარტნიორი და მეგობარი სახელმწიფოა. ვფიქრობ, ზალკალიანისთვის ცუდი შეთავაზება არ არის, რასაც ის დათანხმდა.

— თუმცა მას საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი დაატოვებინეს და ელჩის პოზიციაზე გადაიყვანეს.

— მარადიული ამ ქვეყანაზე მხოლოდ ღმერთია. ყოველთვის მინისტრი ვერ იქნებოდა. არ ვიცი, შიგნით რა ილაპარაკეს და რა გადაწყვიტეს, ვფიქრობ, დავით ზალკალიანისთვის ამერიკაში ელჩობა შეურაცხმყოფელი პოზიცია არ არის. ამერიკის ელჩობა მისთვის ნორმალური შეთავაზებაა.

— შეგიძლიათ შეაფასოთ, როგორ მუშაობდა საგარეო უწყება დავით ზალკალიანის მინისტრობის პირობებში, მისი მინისტრობის პერიოდში საგარეო მიმართულებით მნიშვნელოვანი რა გაკეთდა?

— მინისტრი მმართველი პოლიტიკური გუნდის წევრია და გუნდურად მუშაობს. ზალკალიანი ნამდვილად გამოცდილი და გაწონასწორებული დიპლომატია. მას დიდი გამოცდილება აქვს, მათ შორის, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და არასამთავრობო სექტორში. გახსოვთ, ალბათ, ლევან მიქელაძის ფონდში გადავიდა, როცა სამინისტროდან წავიდა.

ზალკალიანი აქტიურად იყო ჩართული ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებაში, რომელიც საქართველომ 2014 წელს გააფორმა. ზალკალიანი აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ხელშეკრულების გაფორმებაში, რომელსაც ახლახან 5 წელი შეუსრულდა. ჩართული იყო ყველა იმ აქტივობებში, რომლებსაც საქართველოს სახელმწიფო აწარმოებდა საერთაშორისო ასპარეზზე, რაც დაკავშირებულია მსოფლიო კატასტროფასთან.

უკრაინა-რუსეთის ომთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია იყო საერთაშორისო თანამეგობრობის გვერდით დგომა. ევროსაბჭოში, გაეროში, ჰაგის სასამართლოსა თუ სხვა სტრუქტურებში საგარეო საქმეთა მინისტრის როლი მნიშვნელოვანი იყო. ვფიქრობ, დავითის საქმიანობა არ იმსახურებს იმას, მისი ახალი შეთავაზება — რასაც ამერიკაში ელჩად გაგზავნა ჰქვია — გაკვირვების საგანი იყოს.

— „ოცნების“ ამ გადაწყვეტილებამ ოპოზიციის კრიტიკა გამოიწვია. ძალიან რთულ ვითარებაში, როდესაც რუსეთ-უკრაინის ომია და საშიშროება ჩვენც გვემუქრება, მინისტრის შეცვლას არ მოელოდნენ, ანუ საგარეო საქმეთა მინისტრის შეცვლა ოპოზიციას სწორ გადაწყვეტილებად არ მიაჩნია. თქვენ რას ეტყვით მათ?

— მინისტრის ცვლილებას პრემიერი ოპოზიციასთან რომ არ შეათანხმებდა, გასაგებია. კარგია, რომ ახალ კადრზე, ილია დარჩიაშვილზე, კნინობით ფორმაში ვერაფერს ამბობენ, რადგან ისიც გამოცდილი დიპლომატია, წლების განმავლობაში პოლონეთის სახელმწიფოში ელჩი იყო, აქვს როგორც დიპლომატიური, ასევე მენეჯერული საქმიანობის სერიოზული გამოცდილება.

ამდენად, ოპოზიცია ილია დარჩიაშვილის მინისტრად დანიშვნას არ აპროტესტებს და, თუ მინისტრის ცვლილების მოლოდინი არ ჰქონდათ, დიდი ტრაგედია არ არის.

— როდესაც ქვეყანა პირველ დიპლომატს ისეთ სახელმწიფოში უშვებს, როგორიცაა აშშ, რაღაც სერიოზული გეგმები უნდა ჰქონდეს. სხვათა შორის, ამერიკაში აქამდე მყოფი ჩვენი ელჩის მიმართ პრეტენზიები იყო, მგონი, აქტივობას უწუნებდნენ.

— ამერიკაში საქართველოს ელჩს, ბაქრაძეს, თუ გულისხმობთ, დიახ, რაღაც პრეტენზიები იყო, რომ სათანადოდ ვერ იმუშავეს ჩვენს პარტნიორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ამიტომ, ვფიქრობ, ზალკალიანის გამოცდილება ამ მოცემულობას ბევრად უფრო ადეკვატურს გახდის. მას მუშაობის გამოცდილება აქვს.

არ ვიცი, ყოფილი ელჩის მიმართ რაიმე პრეტენზია ოფიციალურად თუ არსებობდა. რაღაც საუბრები იყო, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ზალკალიანს ეს პრობლემა არ ექნება საერთაშორისო თანამეგობრობასთან, მით უმეტეს, პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობისა და პრინციპული პოზიციის დაფიქსირების საკითხში.

— რადგან ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორ სახელმწიფოში, მსოფლიოს ლიდერ ქვეყანაში, ამერიკაში, ზალკალიანის სახით მაღალი დონის დიპლომატი იგზავნება, განზრახული ხომ არ არის ახალი ურთიერთობების წამოწყება? მგონი, ნატოს გარეშე ამერიკასთან პირდაპირ განსაკუთრებულ კავშირზე იყო საუბარი.

— მოგეხსენებათ, ნატო სამხედრო ბლოკია. აშშ-სთან, როგორც პარტნიორ სახელმწიფოსთან, პირდაპირი დიპლომატიური, სავაჭრო და ეკონომიკური კავშირები გვაქვს. ამერიკა მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოა. მასთან ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავება და სიმაღლეზე აყვანა მხოლოდ ქართული სახელმწიფოს ძლიერებას შეუწყობს ხელს.

— ანუ რას შეიძლება ელოდეს ხელისუფლება ზალკალიანის ამერიკაში მომავალი დიპლომატიური საქმიანობიდან?

— ხელისუფლება უნდა ელოდებოდეს, პირველ რიგში, ურთიერთობების, მინიმუმ, არსებულ დონეზე შენარჩუნებას, მაქსიმუმ, კიდევ უფრო მაღალ სიმაღლეზე აყვანას, სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას ამერიკასთან და დანარჩენ მსოფლიოსთან. მხოლოდ ამის მოლოდინი უნდა ჰქონდეთ.

— პრემიერ-მინისტრი აჭარაში ინფრასტრუქტურული მშენებლობების დასათვალიერებლად იმყოფებოდა. მას რუსეთისთვის სანქციების დაწესებაზე ჰკითხეს და იგივე უპასუხა, რაც ადრე. ზოგმა ისიც თქვა, პირდაპირი პასუხის გაცემას ვინ ავალდებულებსო, ანუ პრემიერს პირდაპირობას უწუნებენ. თქვენ რას იტყვის?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

შალვა პაპუაშვილი სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს შეხვდა

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი სომხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ვაჰან ხაჩატურიანს შეხვდა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.

შალვა პაპუაშვილმა შეხვედრაზე ხაზი გაუსვა საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის არსებულ ისტორიულ და მეგობრულ ურთიერთობებს.

— საქართველო სამხრეთ კავკასიაში მშვიდობიანი თანამშრომლობისა და თანაცხოვრების მომხრეა. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საქართველოს პრემიერ მინისტრის მშვიდობიანი სამეზობლოს ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს სამ ქვეყანას შორის დიალოგს, — აღნიშნა შეხვედრაზე პარლამენტის თავმჯდომარემ.

მხარეებმა ასევე გამოხატეს მზადყოფნა ორმხრივი ურთიერთობების შემდგომი განვითარებისთვის.

შეხვედრა გაიმართა შალვა პაპუაშვილის სომხეთის რესპუბლიკაში განხორციელებული ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში.

დელეგაციის შემადგენლობაში გიორგი ვოლსკი, სოზარ სუბარი, სამველ მანუკიანი, სუმბატ კიურეღიანი, ელგუჯა გოცირიძე და ხათუნა სამნიძე შედიან.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

მსოფლიო რუსეთის ფაშიზმზე ალაპარაკდა

გერმანელი ანალიტიკოსი: „რუსეთში პოპულარულია ლოზუნგი „ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ მეორე მსოფლიო ომის საშინელება“

მარიამ მჭედლიშვილი

საერთაშორისო საზოგადოება შეძრწუნებულია შემზარავი ისტორიებითა და კადრებით უკრაინის ომიდან. შოკისმომგვრელი ფაქტები რუსეთის ჯარის მიერ ჩადენილ უმძიმეს არაადამიანურ დანაშაულებზე თანდათან გროვდება და დასტურდება.

მსოფლიო რუსეთის ფაშიზმზე ალაპარაკდა.

გერმანელი ანალიტიკოსი ევგენი ტეიზე ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე რუსული ფაშიზმის ბუნებასა და მის პარადოქსებზე.

ანალიტიკოსი ევგენი ტეიზე:

– პუტინის დანაშაულებრივი რეჟიმი, რაც უნდა პარადოქსული იყოს, თავის ლეგიტიმურობას იღებს მითიდან ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვების შესახებ. იმ დროს, როცა ჩვენ ევროპაში გამოვიტანეთ დასკვნები მეორე მსოფლიო ომის საშინელებიდან და გავიგეთ, რომ ეს აღარასდროს უნდა განმეორდეს, რუსეთში, პირიქით, პოპულარულია ლოზუნგი: „ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ“.

ანალიტიკოსი ასახელებს უკრაინის ქალაქებს, სადაც უამრავი ფაშისტური სიმხეცეა ჩადენილი: ბუჩა, ირპენი, მარიუპოლი, ტროსტიანეცი და დასძენს, რომ მათი ასეთი ქალაქების სია იზრდება.

– კეფაში გასროლით მოკლული ხელებშეკრული კაცები, ქალები, რომლებიც იმიტომ დახოცეს, რომ სარდაფიდან გამოვიდნენ, დაბომბილი სკოლები და საბავშვო ბაღები, სამოქალაქო პირების განადგურება განურჩევლად, ახასიათებს იმ ომს, რომელსაც რუსეთის არმია აწარმოებს

რუსი პოლიტტექნოლოგი: „უკრაინელების მასამ ომის სიმძიმე უნდა გადაიტანოს“

უკრაინელების წინააღმდეგ, – აღნიშნავს ექსპერტი.

იგი, სხვების მსგავსად, აფასებს რუსების იმპერიულ აზროვნებას:

– რუსების უმრავლესობის თავებში არ მივიწყებულა დაკარგული იმპერია. უკრაინის დასავლეთთან დაახლოება, ამ შოკისმომგვრელი არქაული აზროვნების შესაბამისად, საშინელი ღალატია. დამოუკიდებელი ინსტიტუტის, „ლევადას“ მიერ რუსეთში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად, 81% მხარს უჭერს რუსეთის მიერ უკრაინაში გაჩაღებულ ომს. სტალინის საზოგადოებაში, რომელიც პუტინის დროს აღორძინდა, „ხალხის მტრებისთვის“ სიკვდილი იყო განსაზღვრული. კიევის მახლობლად, ბიკოვინაში მეორე მსოფლიო ომის წინ სასამართლოსა და გამოძიების გარეშე დახვრიტეს და ტყეში დამარხეს ათასობით ადამიანი მხოლოდ იმიტომ, რომ რეჟიმმა სტალინის მეთაურობით ისინი ხალხის მტრებად გამოაცხადა. დღეს „მოღალატე“ და „მტერია“ ყველა, ვინც რუს ოკუპანტებს პურმარილით არ დახვდება.

რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა პუტინის ფაშისტური პოლიტიკის მიმდევარია. ამ ხალხს ეამაყება ის, რომ უკრაინაში ხოცავენ „ნაცისტებს“, ასევე ის, რომ რუსეთის ფედერაცია აპირებს საზღვრების გაზრდას საქართველოს ტერიტორიის მიტაცებით, ანუ ცხინვალის რეგიონის ანექსიით.

იმავდროულად, რუსეთის მოქალაქეებში (რუსეთში დარჩენილებსა და უცხოეთში წასულებში) პუტინის მოწინააღმდეგეების რიცხვი იმატებს. რუსმა სამხედროებმა ჩამოაყალიბეს ლეგიონი „თავისუფლება რუსეთს“. ომის დაწყებისთანავე საზღვარგარეთ შეიქმნა „ანტისაომარი კომიტეტი“. მასში შევიდნენ პოლიტიკოსები, ბიზნესმენები, მეცნიერები, პუბლიცისტები და ა.შ. ამ კომიტეტში არიან გაწევრიანებული ბიზნესმენი მიხეილ ხოდორკოვსკი, პოლიტიკოსი და მოჭადრაკე გარი კასპაროვი, ჟურნალისტი ევგენი კისელიოვი, მწერალი ვიქტორ შენდეროვიჩი და სხვა ცნობილი ადამიანები.

უკრაინასა და მის ფარგლებს გარეთ ვრცელდება რუსი პოლიტტექნოლოგის, ტიმოფეი სერგეიცევის ფაშისტურ-იმპერიალისტური მოსაზრებები უკრაინასა და უკრაინის ომზე. მისი მანიაკალური ქადაგებები და მოწოდებები დატრიალებულ საშინელებებზე არანაკლებ თავზარდამცემია.

პოლიტტექნოლოგი სერგეიცევი:

– დენაციფიკაცია აუცილებელია იმ დროს, როცა უკრაინელი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი ნაცისტურმა რეჟიმმა აითვისა და ჩაბა თავის პოლიტიკაში.. ჰიპოთეზა „კარგი ხალხი, ცუდი ხელისუფლება“ არ მუშაობს. სათავეში მყოფი პირების გარდა, დამნაშავეა მასის მნიშვნელოვანი ნაწილი. ის პასიური ნაცისტია. ბენდერელების სათავე უნდა განადგურდეს. მისი გადაკეთება შეუძლებელია. სოციალურმა „ჭაობმა“, რომელიც აქტიურად თუ პასიურად ემხრობა ნაცისტებს, უნდა გადაიტანოს ომის მთელი სიმძიმე, მიიღოს გაკვეთილები და გამოისყიდოს დანაშაული. ამ მასის შემდგომი დენაციფიკაცია ნიშნავს მის აღზრდას. დენაციფიცირებული ქვეყანა სუვერენული ვერ იქნება. დასახელება „უკრაინა“ ვერ იქნება გამოყენებული ვერც ერთი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის ტიტულში. უკრაინის დენაციფიკაცია მისი გარდაუვალი დეევროპეიზაციაა.

„პუტინი საქართველოსთვისაც ისეთივე მტერი და დამპყრობელია, როგორიც უკრაინისთვის“

გედევან ფოფხაძე: „საქართველოში თუ საკითხი ასე დადგება – მშვიდობა უფრო ღირებულია თუ თავისუფლება! – ეს ისტორიის გადაწერაა“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, უკრაინის თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებულ სადაზვერვო ინფორმაციაზე მინისტრი კულება საქართველოს სთხოვს მტკიცებულებებს. ასეთ დროს ვისზე მოდის მტკიცებულებების ტვირთი?

– თუ საქართველოს ხელისუფლებას არ უნდა დაადასტუროს, რომ ის არ არის რუსეთის მხარეს, ნუ დაადასტურებს. უკრაინას გაუჩნდა ეჭვები და ამის საფუძველი მისცა საქართველოს ხელისუფლებამ. ამიტომ ახლა კეთილი ინებონ და დაამტკიცონ, რომ მსგავსი არაფერი ხდება. ამის მორალური უფლება აქვს უკრაინას, ომში მყოფ სახელმწიფოს. ახლა ძალიან რთულია მორალურ კომფორტზე საუბარი, ამიტომ დაამტკიცონ! თვითონ გააჩინეს ეს ეჭვები თავიანთი სამარცხვინო განცხადებებით. ვალდებულნი არიან, ყველას წინაშე, მთელი ცივილიზებული სამყაროს წინაშე დაამტკიცონ, რომ რაზეც უკრაინულმა მხარემ ისაუბრა, სიმართლე არ არის.

– თუ ასეა, რატომ დუმს ამერიკის, დიდი ბრიტანეთის დაზვერვა?

– ასეთ საკითხებზე ისინი ყოველთვის დუმან. ისინი საჯაროდ არაფერს იტყვიან. თუ ახალ უკრაინა მორალსა და ზნეობაზე თამაშობს, დაე, ითამაშოს, რადგან ამის შესაძლებლობა მათ „ქართულმა ოცნებამ“ მისცა.

– დეპუტატი ანა ნაცვლიშვილი ამბობს, რომ ბრალდება სერიოზულია. ამიტომ „ეს რა გვაკადრეს“ და „თმების გაშლა“ არაადეკვატურია. ის ადეკვატურ მოქმედებაზე, საპარლამენტო ზედამხედველობაზე საუბრობს. თქვენ რას იტყვით, ხელისუფლების პოზიცია როგორი უნდა იყოს?

– რუსეთი და პუტინი საქართველოსთვისაც ისეთივე მტერი და დამპყრობელია, როგორიც უკრაინისთვის. ამიტომ, ახლა ჩვენ რომ გვიწევს ამის მტკიცება მთელი მსოფლიოსთვის, ეს უკვე შემზარავია. რადგან ივანიშვილმა საერთო ენა ვერ გამონახა დასავლეთთან და ჯერ კიდევ იქ არის, ეს ქვეყანას აყენებს საფრთხის ქვეშ.

დღეს საქართველოს ბედი, ისე, როგორც მსოფლიოს ბედი, უკრაინაში წყდება. ელემენტარულად რომ ვთქვათ, ამ დროს მორალურად თუ ზნეობრივად ჩვენ სად ვდგავართ?! საერთოდ არ მეხატება გულზე ალეკო ელისაშვილი, არც ირაკლი ოქრუაშვილი, მაგრამ დღეს ისინი კარგ საქმეს აკეთებენ, სწორ პოზიციაზე დგანან და, როგორ შეიძლება, ეს არ ვთქვა. დღეს ეს ადამიანები

ქვეყნის ინტერესებით ხელმძღვანელობენ. საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ამ ხელისუფლების მიმართ არანაირი ნდობა არ არსებობს. ელჩები თუ ჩამოსული დელეგაციები გვეუბნებიან, სად უნდა ვიდგეთ და რომ რუსეთის გვერდით არ უნდა ვიყოთ. ეს ხომ სამარცხვინოა ქვეყნისთვის, რომელსაც რუსეთმა ომი არაერთხელ გამოგვიცხადა და ქვეყანა ოკუპირებული გვაქვს.

არა მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის, არამედ უკრაინის ნდობა არ გვაქვს. დღეს მთავარი მოთამამშე არის უკრაინა და პირველ რიგში მისი ნდობა უნდა გვქონდეს ამ ომში, რადგან ეს ჩვენი საერთო ომია. საქართველოში თუ საკითხი ასე დადგება – მშვიდობა უფრო ღირებულია თუ თავისუფლება! – ეს ისტორიის გადაწერაა პირდაპირი მნიშვნელობით, რომელსაც „ქართული ოცნება“ გვთავაზობს. ქაქუცა ჩოლოყაშვილის, დიმიტრი თავდადებულის ქვეყანაში „ქართულ ოცნებას“ არ გამოუვა ისტორიის გადაწერა.

– ხელისუფლების არგუმენტია, რომ ამ რიტორიკით თავს ვიცავთ.

– კი, ეს არის ის რიტორიკა, რომლის უკანაც პრორუსული ორიენტაცია იმალება.

– რას იტყვით საგარეო საქმეთა სამინისტროში მომხდარ საკადრო ცვლილებაზე?

– დავით ზალკალიანი სახლში არ გაუშვიათ, როგორც, მაგალითად, კახა კუჭავა გაუშვეს.

– კუჭავა გაუშვეს?

– აბა, პარლამენტის თავმჯდომარე იყო ადამიანი და თავისი ნებით რატომ უნდა წასულიყო?! ეს სისტემა მორჩილებაზეა აგებული. თუ მარიონეტი იქნები, სისტემაში პრობლემა არ შეგექმნება. ვიღაცა უფრო არის, ვიღაცა – ნაკლებად. ეს სისტემა ზრუნავს ამ ჯგუფის შენარჩუნებაზე, ეს ჯგუფი კი – ივანიშვილის მომსახურებაზე. ეს არის ის რეალობა, რომელიც საქართველოს უკან ხევს, რომელიც ქვეყანას შანსს უკარგავს. რეალობა, სამწუხაროდ, ასეთია.

„საქართველოში მოჩვენებითი მშვიდობაა, საომარ მდგომარეობაში ვართ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– აჭარაში პრემიერის ვიზიტი მოულოდნელი არ იყო. მან არჩევნების წინ ოფიციალურად განაცხადა, რომ ყველა რეგიონს შემოივლიდა წინასაარჩევნო დაპირებების შესრულების მონიტორინგისთვის. ამიტომ მან რეგიონებში ვიზიტები წამოიწყო. გასაკვირი არაფერია. რაც შეეხება უკრაინისთვის მხარდაჭერას, თავის არსენალში რაც შეიძლება ჰქონდეს ქვეყანას მხარდაჭერის კუთხით საერთაშორისო ასპარეზზე, ყველგან ჩვენმა სახელმწიფომ პრინციპული პოზიცია დაიკავა.

საქართველომ მხარი დაუჭირა ევროსაბჭოდან რუსეთის გარიცხვას, გაეროში მხარი დაუჭირა რეზოლუციას, ჰააგაში რუსეთის წინააღმდეგ სარჩელის თანამონაწილეა. ბევრი ნაბიჯი გადადგა. დანარჩენში ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე.

უკრაინის მაღალი თანამდებობის პირები, რბილად რომ ვთქვათ, ყურს რომ ეხამუშება, ისეთ განცხადებებს აკეთებენ. კონკრეტულად ვგულისხმობ უკრაინის უშიშროების საბჭოს მდივნის განცხადებას, თბილისი უნდა დაფიქრდეს ცხინვალსა და აფხაზეთში შესვლაზეო. ასეთი განცხადებები ქვეყანაში სიმშვიდის შენარჩუნებას ხელს არ უწყობს.

თვითონ ჩვენი ოპოზიციის წარმომადგენლებიც ატყობენ, რომ უკრაინელი მაღალჩინოსნების განცხადებები არაკეთილგანწყობილების გამომხატველია. ამიტომ უკრაინის მაღალი თანამდებობის პირების ასეთი განცხადებების შემდეგ აფიქსირებენ, რომ ომში მყოფი სახელმწიფოს წარმომადგენლების განცხადებებს გაგებით უნდა მოვეკიდოთ და მწვავე რეაქცია არ უნდა გვქონდეს, ანუ მათ განცხადებებს „აპრავებენ“.

სახელმწიფო, რომელშიც დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, სამწუხაროდ, საომარ მდგომარეობაშია. ფაქტია, რომ უკრაინას დღეს ბომბები აცვივა, მაგრამ, ფაქტია ისიც, რომ თბილისიდან 30-40 კილომეტრში რუსის ჯარი და რუსული ბაზა დგას. რაც მთავარია, ჩვენი ქვეყნის 20%-ზე ჩვენი ხელისუფლების იურისდიქცია არ ვრცელდება. ეს არის მოჩვენებითი „მშვიდობა“.

– გარკვეულ სანქციებს ჩვენ 2014 წლიდან ვართ შეერთებული. პრემიერმა ეს რომ თქვას, რა იქნება? რატომ არ უნდა იმის დაფიქსირება, რომ გარკვეულ სანქციებს ჩვენც შეერთებული ვართ?

– ჩემი აზრით, სანქციაში იგულისხმება ის, რომ ყველა ღონისძიებას მიერთებული იყო. რადგან პრემიერი კონკრეტულად არ ამბობს, ფრთხილობს, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

– მაგალითად, ვითიბი ბანკმა, რომელსაც დასავლური სანქცია შეეხო, საქართველოშიც შეწყვიტა ფუნქციონირება. ეს სანქციებისთვის შეერთება არ არის? ანუ რომელ სანქციაზეც შეიძლება შეერთება ისე, რომ ჩვენ არ დავზარალდეთ, შეერთებული ვართ.

– ვისაც უნდა, დაინახოს სახელმწიფოს ჩართულობა პოზიტიური კუთხით, საერთაშორისო პოზიციების გათვალისწინებით, თვალნათლივ ჩანს, ვისაც უნდა, საქართველოს ქალაქები და სოფლები გვამებით გაივსოს, ამას მაინც არ გაიგებს.

მეც არ მესწავლება, რომ რუსეთთან ურთიერთობის მწარე გამოცდილება გვაქვს. ვერ ვიხსენებ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც რუსეთისთვის მისაღები იყო. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ, მოგეხსენებათ, რა დღეში აღმოვჩნდით. მერე წაგვართვეს ჩვენი ძირძველი ჰერეთი, ლორე...

თუ პრემიერი ახლა კონკრეტულად ამ ჩამონათვალს არ აკეთებს, ამით რა შავდება? ოპოზიცია ამბობს, რაც უნდა კოჭი ვუგოროთ რუსეთს, მათთან მაინც არაფერი ჭრის, მაინც არაფერი გვეშველებაო, მაგრამ, როდესაც აგრესიის საშიშროებაა, მით უფრო ფრთხილად უნდა ვიყოთ.

– პრემიერის ასეთ განცხადებებს რუსეთისთვის თავის დახრად მიიჩნევენ.

– რეალობას თვალი გავუსწოროთ. ჩვენ ისეთ მსოფლიოში ვცხოვრობთ, სადაც ინფორმაცია ღიაა. დაუკვირდით, უკრაინის პრეზიდენტი ყოველდღე კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს აშშ-ისა და ნატოს ხელმძღვანელობას, არ გვეხმარებიანო.

– ამბობენ, იმდენ იარაღს არ მაწვდიან, რამდენიც გვჭირდებაო.

– დიახ, ცა არ ჩაკეტესო. ისინი შემდეგ მას პასუხობენ, ჩვენ ეს რომ გავაკეთოთ, პირდაპირ რუსეთთან ომში ჩართვას გამოიწვევსო. ჩვენ ბევრი ბრძნული გამონათქვამი გვაქვს. მაგალითად, მულო, გეუბნები, რძალო, გაიგონეო. ფაქტია, ჩვენ ყოველდღე ვისმენთ ომში მყოფი ქვეყნის ემოციით კარგად დამუხტულ პრეტენზიებს.

მარტო იარაღით დახმარება საკმარისი არ არის. პოლონეთში ვიზიტის დროს აშშ-ის პრეზიდენტმა პირდაპირ თქვა: თუ რუსეთი ერთ ნაბიჯსაც კი გადმოდგამს ნატოს ქვეყნის ტერიტორიაზე, სახელმწიფო საზღვარს დაარღვევს, საშინელი რეაქცია გვექნებაო, ანუ ხაზს უსვამს, თუ ნატოს წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე შევა.

უკრაინაში სისხლი იღვრება, უდანაშაულო მშვიდობიანი მოქალაქეები, ბავშვები იღუპებიან. ეს კატასტროფა და ტრაგედია არ არის? ამდენად, ყველა სახელმწიფოს თავისი სტრატეგიული გეზი აქვს. თუ ამ შემთხვევაში ამა თუ იმ ქვეყნის ლიდერი არაფრით იკავებს რადიკალურ პოზიციას, მოდით, ამის უფლება იმ ქვეყნებს დავუტოვოთ. აი, ბალტიის ქვეყნებმა მიიღეს გადაწყვეტილება და რუსულ გაზზე უარი თქვეს, ანუ ვისაც როგორ შეუძლია, ისე მოქმედებს. ეს იმ ქვეყნების შიდა საქმეა. მათ შეუძლიათ, ეს გააკეთონ, რადგან მათ საქმე აქვთ თავიანთ მოსახლეობასთან. თუ მოსახლეობა იმდენად ენდობა თავის ხელისუფლებას, რომ ამ გადაწყვეტილებას შემდეგ რა მოჰყვება, ამაზე ხელისუფლება პასუხისმგებელია, კი ბატონო.

თუ ეს გადაწყვეტილება მოსახლეობას სერიოზულ პრობლემას შეუქმნის, ხელისუფლება იქნება პასუხისმგებელი და პასუხს ხელისუფლებას აგებინებენ, ანუ ხელისუფლებაა პასუხისმგებელი ქვეყანაში არსებულ და მოსალოდნელ რისკებზე. ამიტომ ყველა ხელისუფალი ცდილობს, თავისი სამშობლო რისკებისაგან დააზღვიოს.

„ინტერპრესნიუსის“ ფოტოკორესპონდენტსა და „ტვ პირველის“ ოპერატორზე თავდასხმაში ბრალდებულებს 1-წლიანი პატიმრობა მიესაჯათ

„ინტერპრესნიუსის“ ფოტოკორესპონდენტის, გიორგი ნიკოლიშვილის, „ტვ პირველის“ ოპერატორის, ლევან ბრეგვაძისა და კიდევ ერთი მოქალაქის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში ბრალდებულები სასამართლომ დამნაშავედ ცნო.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილმა მიიღო.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, ბრალდებულებს – ირაკლი წიგნაძეს, ბაქარ მაისურაძეს, ნიკოლოზ დადვანს, მუხრან დადვანს, თორნიკე გაბელიანს, დავით ქოჩიაშვილს – 1-წლიანი პატიმრობა, ვანო ბურდულს კი 1 წლითა და 6 თვის ვადით პატიმრობა განესაზღვრა.

აღნიშნული ბრალდებულებიდან გიორგი ნიკოლიშვილის ეპიზოდში მონაწილეები არიან – ბაქარ მაისურაძე, ნიკოლოზ დადვანი, თორნიკე გაბელიანი.

მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილმა ყველა პირს ორგანიზებულ ჯგუფურ დანაშაულში მონაწილეობა მოუხსნა და ის ძალადობის მუხლით გადაუკვალიფიცირა.

დაკავებული პირებიდან ბრალს არც ერთი არ აღიარებს.

აღნიშნულ საქმეზე სახელმწიფო ბრალდებას სასამართლოში არაერთი მტკიცებულება ჰქონდა წარმოდგენილი, პროკურატურამ არაერთი მოწმე დაკითხა, მათ შორის, სამართალდამცავები, რომლებიც დეტალურად აღწერდნენ ბრალდებულების მხრიდან განხორციელებულ ძალადობას.

„ინტერპრესნიუსის“ ფოტოკორესპონდენტსა და „ტვ პირველის“ ოპერატორს 5 ივლისს, მაშინ, როცა ისინი პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ, აქციის მონაწილეები სასტიკად გაუსწორდნენ.

თავდასხმის შედეგად გიორგი ნიკოლიშვილმა გონება დაკარგა. ის თავის ტვინის ტრავმით საავადმყოფოში მკურნალობას რამდენიმე კვირის განმავლობაში გადიოდა, ჰქონდა ტვინის ძლიერი შერყევა, ტრავმული სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა, არაერთი ჰემატომა.

გიორგი ნიკოლიშვილს კლინიკის დატოვების შემდეგ დასჭირდა რეაბილიტაციის ხანგრძლივი კურსის გავლა.

პროკურატურა აღნიშნულ განაჩენს სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს.

როგორც საქმის პროკურორი ნათია გურული აცხადებს, ისინი სასამართლოს გადაწყვეტილებას კატეგორიულად არ ეთანხმებიან.

– ბრალდების მხარე კატეგორიულად არ ეთანხმება განაჩენის იმ ნაწილს, სადაც მოსამართლემ ძალადობა ორგანიზებულ ჯგუფურ მოქმედებად არ შეაფასა და აუცილებლად გაასაჩივრებს სააპელაციო წესით, – განაცხადა პროკურორმა გურულმა.

ბრალდებულები პენიტენციარულ დაწესებულებას 3 თვეში დატოვებენ.

მოსამართლე ვალერიან ბუგიანიშვილის გადაწყვეტილებით, სწორედ ამ ვადაში იქნებიან 5 ივლისს განხორციელებულ სასტიკ ძალადობაში მონაწილეები თავისუფლებაში.

მხოლოდ ერთი პირი, რომელიც „ტვ პირველის“ ოპერატორის ძალადობაშია ბრალდებული, პენიტენციარულ დაწესებულებას 9 თვეში დატოვებს. ის წარსულში ნასამართლევი იყო, რის გამოც, სხვებთან შედარებით, რამდენიმე თვით მეტი მიესაჯა.

ცნობისთვის, რუსთაველის გამზირზე მედიასაშუალებების წარმომადგენელთა მიმართ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებსა და პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ბრალდებით სულ 27 პირი დააკავეს. მათ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე (ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა), 156-ე მუხლით (დევნა), 225-ეს მე-2 ნაწილი (ორგანიზებულ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობა) მუხლებით ჰქონდათ წარდგენილი.

დაკავებული 27 პირიდან თბილისის საქალაქო სასამართლომ 27-ვე დამნაშავედ ცნო, 26 პირს სხვადასხვა ვადით პატიმრობა აქვს მისჯილი, ერთ პირს კი 5000-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა. საქმეს 56 დაზარალებული ჰყავს, მათ შორის 47 ჟურნალისტია.

გიორგი ქველიაშვილს ლაგუნა ვერეზე სროლისთვის პატიმრობა შეეფარდა

დაჭრილმა მარლენ მეტონიძემ კლინიკა დატოვა

„ლაგუნა ვერეს“ მიმდებარედ მომხდარი მკვლელობისა და დაჭრისა საქმეზე დაკავებულებიდან ერთ-ერთს, გიორგი ქველიაშვილს, სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ გიორგი გელაშვილმა გამოაცხადა.

5 აპრილის სასამართლო პროცესზე პროკურორი გია შაიშმელაშვილი დაკავებული პირის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების, პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა. გიორგი ქველიაშვილის ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი კი დაკავებულის მიმართ 5.000-ლარიანი გირაოს გამოყენებას მოითხოვდა.

მოსამართლემ პროკურატურის შუამდგომლობა სრულად დააკმაყოფილა.

გიორგი ქველიაშვილს 117-ე მუხლის მეშვიდე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ორი ან მეტი პირის მიმართ) ჰქონდა ბრალი წარდგენილი, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9 წლიდან 13 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქმის ერთ-ერთმა მთავარმა ფიგურანტმა, ბიზნესმენმა მარლენ მეტონიძემ, რომელიც დაჭრილ მდგომარეობაში კლინიკაში იმყოფებოდა, საავადმყოფო დატოვა.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, მარლენ მეტონიძეს დაცვა მოუხსნეს, მას პოლიცია აღარ იცავდა, რის გამოც, საავადმყოფოს სასწრაფოდ დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. ბიზნესმენი კლინიკიდან პირადმა დაცვამ და ადვოკატმა თამარ აბესაძემ გაიყვანეს.

არსებული ინფორმაციით, გიორგი ქველიაშვილის ოფისში კონსტანტინე ქობულიასთან და ვახტანგ გურგენიძესთან სასაუბროდ მათი ნაცნობი – ბიზნესმენი მარლენ მეტონიძე 17 ადამიანთან ერთად მივიდა, რომელთაგანაც 5 პირი მისი პირადი დაცვა იყო.

სიტყვიერი და ფიზიკური დაპირისპირების შემდეგ, კონსტანტინე ქობულიამ ბიზნესმენ მეტონიძისა და მისი თანმხლები პირების მისამართით გასროლა განახორციელა, რის შედეგადაც მარლენ მეტონიძე, ოთარ ბარკალაია და დავით ცისკარიშვილი დაიჭრნენ.

აღნიშნული დაპირისპირებისას ბიზნესმენის დაცვის წევრმა კობა მეტრეველმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლა განახორციელა, რასაც კონსტანტინე ქობულიას სიცოცხლე ემსხვერპლა.

დაუდგენელია პირი, რომლის გასროლითაც ვახტანგ გურგენიძე გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, მარლენ მეტონიძე შეხვედრის ადგილზე ჯავშანჟილეტით იყო მისული.

დაუზუსტებელი ცნობით, ოფისში, სადაც სისხლიან გარჩევაში მონაწილე პირები მივიდნენ, იატაკზე პოლიეთილენის პარკები იყო მოფენილი, რაც,

ადვოკატების განმარტებით, შესაძლოა, მკვლელობის წინასწარ განზრახვაზე მიუთითებდეს.

ცნობისთვის, 3 აპრილს თბილისში, „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარედ, 2 ადამიანი მოკლეს, რამდენიმე კი დაჭრეს. მკვლელობის საქმეზე 5 პირი დააკავეს.

პროკურატურამ თბილისში მომხდარი განზრახ მკვლელობის, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტზე რამდენიმე პირს ბრალდება წარუდგინა.

სააკაშვილის ადვოკატზე ძალადობისთვის დაკავებულ გიორგი გიუაშვილს გირაო შეეფარდა

მიხეილ სააკაშვილის ადვოკატ შოთა თუთბერიძის საქმეზე სპეციალური პენიტენციარული სამსახურის ყოფილ ინსპექტორს, ბრალდებულ გიორგი გიუაშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით 4.000-ლარიანი გირაო შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ლაშა კლდიაშვილმა გამოაცხადა.

5 აპრილის პროცესზე ბრალდების მხარე გიუაშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა. როგორც საკუთარ შუამდგომლობაში პროკურორი ლევან ქუთათელაძე განმარტავდა, კონფლიქტის ინიციატორი თავად ბრალდებული გახლდათ, მან ადვოკატი ისეთ ადგილას შეიყვანა, სადაც კამერა არ იყო და ადვოკატს ხელი და ფეი მოუქნია. ქუთათელაძის განცხადებით, ბრალდებულის ქმედებებით დაზარალებულ შოთა თუთბერიძის უფლებები შეილახა. პროკურორის თქმით, ბრალდებულის მხრიდან როგორც მიმალვის, ასევე მოწმეებზე ზემოქმედებისა და მტკიცებულებების განადგურების საფრთხე არსებობს, რის გამოც, მის მიმართ ბრალდებულის მიმართ პატიმრობა უნდა გამოყენებულიყო.

თავად ბრალდებულმა, რომელსაც ადვოკატი არ ჰყავდა და საკუთარ თავს თავად იცავდა, აღნიშნა, რომ პროკურატურის შუამდგომლობას არ ეთანხმებოდა.

– პროკურორების არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მივიმალები, სიმართლეს არ წარმოადგენს, ინციდენტი თვენახევრის წინ მოხდა და მიმალვა არ მქონია მიზნად, გუშინ დამიბარა პროკურატურამ, აქამდე მივიმალებოდი, მიმალვა ჩემ ინტერესებში არ შედის, პირიქით, ჩემ ინტერესშია სიმართლის დადგენა.

რაც შეეხება მოწმეებზე ზემოქმედებას, ჩამოთვლილი მოწმეებიდან მხოლოდ ერთი გახლავთ ჩემი თანამშრომელი, დანარჩენი მხოლოდ გამარჯობით ვიცი, აქედან გამომდინარე, ვერანაირად ვერ მექნება მათზე ზემოქმედება, ვინაიდან, დღემდე არ მქონია.

მტკიცებულებების განადგურებას რაც შეეხება, ჩემს ინტერესებში არ შედის, ფიზიკურ შეხებას ადგილი არ ჰქონია, ამას ამბობს ყველა და ეს ჩანს კადრებში, მტკიცებულებების განადგურება კი არა, ნეტა მეტის მოპოვება შეიძლებოდეს.

50 წლის გახლავართ, შეიარაღებული ძალების ოფიცერი ვარ, არასდროს ყოფილა გიორგი გიუაშვილი ბრალდებული, ამ ქვეყნის სამსახურში ვიყავი 18 წლიდან, ჩემი პიროვნებიდან გამომდინარე, რომ პატიმრობაში უნდა ვიყო, ვერ მივიღებ. მოწმეთა ჩვენებებიც ადასტურებს რომ ფიზიკურ შეხებას არ ჰქონია ადგილი. ახალ დანაშაულს რატომ ჩავიდენ, პირიქით, ყველანაირად ვცდილობ, ეს უფრო ბევრი ადამიანისთვის გახდეს ცნობილი, როგორც სასამართლოთი, ასევე მედიით. ბოდიში, მე იურისტი არ გახლავართ, – განაცხადა გიუაშვილმა.

აღნიშნულთან დაკავშირებით მოსამართლე ლაშა კლდიაშვილმა აღნიშნა, რომ ის „გულწრფელად ეუბნებოდა ბრალდებულს, რომ პოზიცია ბევრ იურისტზე ნაკლებად არ ჩამოუყალიბებია“.

მოსამართლემ მას ჰკითხა, თუ რას ითხოვდა სასამართლოსგან.

– თუ არის შესაძლებელი, არ დამაპატიმროთ, თუ შეუძლებელია, მინიმალური გირაო გამოიყენეთ, – განაცხადა გიუაშვილმა.

ცნობისთვის, გიორგი გიუაშვილს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს.

საქართველოს შს მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ესპანეთის სამეფოში დასრულდა

5 აპრილს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომელაურის ოფიციალური ვიზიტი ესპანეთის სამეფოში დასრულდა.

ვახტანგ გომელაურმა ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გამართა ესპანეთის სამეფოს შინაგან საქმეთა მინისტრთან, ფერნანდო გრანდე მარლასკა გომესთან და ესპანეთის სამეფოს სამოქალაქო გვარდიის გენერალურ დირექტორთან, მარია გამეს გამესთან.

ამის შესახებ ინფორმაციას შს სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, მხარეებმა სამართალდაცვით სფეროში არსებული ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს და სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივები დასახეს.

ვახტანგ გომელაურმა ესპანეთის სამოქალაქო გვარდიის წარმომადგენლებს არსებული თანამშრომლობის გაღრმავებაში შეტანილი წვლილისათვის მადლობის სიგელები გადასცა.

შეხვედრებს ესწრებოდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე – შალვა ბედოიძე, რომელმაც ამავე ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გამართა ესპანეთის ეროვნული პოლიციის გენერალური დირექტორის მოადგილესთან – ხოსე ანხელ გონსალეს ხიმენესთან.

თბილისში მატარებელი მამაკაცს დაეჯახა

თბილისში, ფეიქრების ქუჩაზე, 5 აპრილს, გვიან ღამით, სამგზავრო მატარებელი კაცს დაეჯახა. „ქრონიკის“ ინფორმაციით, დაშავებული მე-8 საავადმყოფოშია გადაყვანილი და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა. დაშავებული 1995 წელს არის დაბადებული.

პეკინზე ავტომობილი ჯერ ქვეითს, შემდეგ კი მოტოციკლეტსა და ავტობუსს შეეჯახა

ავარია მოხდა 5 აპრილს თბილისში, პეკინზე. მსუბუქი ავტომობილი, რომელიც მოძრაობის საპირისპირო მიმართულებით გადაადგილდებოდა, ველობილიკზე ავარდა, რის შედეგადაც ჯერ ქვეითს, შემდეგ კი მოტოციკლეტსა და ავტობუსს შეეჯახა.

დაშავდა ორი ადამიანი. მათ პირველადი სამედიცინო დახმარება ადგილზე სასწრაფო დახმარების ექიმებმა აღმოუჩინეს. ადგილზე მობილიზებული იყვნენ სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები და საპატრულო პოლიცია.

პოლიციამ უკანონო იარაღი ამოიღო

დაკავებულია 6 კაცი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ბოლო პერიოდში ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, თბილისსა და რეგიონებში 6 პირი დააკავეს, ამოღებულია სხვადასხვა ტიპის უკანონო ცეცხლსასროლი იარაღები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1978 წელს დაბადებული ზ.ო. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთში დააკავეს.

„პოლიციამ, მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღო: „გეკოს“ სისტემის 3 გადაჭრილი თოფი, 3 სხვადასხვა მოდელის საფანტის პისტოლეტი, 1 კუსტარულად დამზადებული პისტოლეტი, 3 არარეგისტრირებული სანადირო თოფი, სხვადასხვა კალიბრის 28 საბრძოლო ვაზნა, „რგდ“-ის ტიპის ხელყუმბარა და 3 ფალია. ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1981 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ. ხ. თბილისში დააკავეს. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღეს: „ტტ“-ს სისტემის ცეცხლსასროლი პისტოლეტი, 2 მჭიდი და 10 საბრძოლო ვაზნა. ასევე, ამოღებულია უკანონოდ კულტივირებული, ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარე. გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, 1973 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი რ.ქ.-ის საცხოვრებელ სახლში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს ცეცხლსასროლი პისტოლეტი და 9 საბრძოლო ვაზნა.

რაც შეეხება კიდევ ერთ ბრალდებულს – 1991 წელს დაბადებულ ა.ბ.-ს, პოლიციამ მისი მართვის ქვეშ არსებული ავტომობილის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღო ცეცხლსასროლი პისტოლეტი, მჭიდი და 4 საბრძოლო ვაზნა. ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1961 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი თ.ძ. თბილისში დააკავეს. პოლიციამ დაკავებულის საცხოვრებელ სახლში მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 11 ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღო. სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1971 წელს დაბადებული ბ.ფ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. სამართალდამცველებმა მარტვილში, მისი საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე შენობა-ნაგებობების ჩხრეკის შედეგად ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და 54 ცალი ვაზნა ნივთმტკიცებად ამოიღეს.

დანაშაულები 4-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისა და ტარების, ასევე, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის უკანონო დათესვა-მოყვანა-კულტივირების ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3, მე-4, მე-6 ნაწილებითა და 265-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

შარლ მიშელი: „თავშესაფარს მივცემთ რუს ჯარისკაცებს, რომლებიც ბრძანებებს არ დაემორჩილებიან“

– მე მაქვს ერთი გზავნილი რუსი ჯარისკაცებისთვის, რომლებიც ახლა ბრძოლის ველზე არიან – თუ არ გინდათ მონაწილეობა თქვენი უკრაინელი ძმებისა და დების მკვლელობაში, თუ არ გსურთ, იყოთ კრიმინალები, დაყარეთ იარაღი, შეწყვიტეთ ბრძოლა, დატოვეთ ბრძოლის ველი.

ამის შესახებ ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა ევროპარლამენტში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, უკვე გამოიკვეთა ქვეყნები, რომლებიც მზად არიან, თავშესაფარი მისცენ ჯარისკაცებს, რომლებიც უარს იტყვიან რუსეთის ხელისუფლების ბრძანებების შესრულებაზე.

შარლ მიშელმა თავის ევროპელ კოლეგებს მიმართა და განაცხადა, რომ ახლა ყველაფერი უნდა გაკეთდეს რუსეთის მიერ ჩადენილი სიმხეცის შესაჩერებლად.

– დღეს გამოვხატავთ ჩვენს განრისხებას კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების გამო, მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის გამო ბუჩასა და უკრაინის სხვა ბევრ ქალაქში.

ეს არის კიდევ უფრო მეტი მტკიცებულება, რომ რუსეთის ქმედებებს უკრაინელი ხალხის წინააღმდეგ საზღვარი არ აქვს. კიდევ უფრო მეტი მტკიცებულებაა იმის, რომ სხეულები მიმოფანტულია ქუჩებში, მასობრივი სასაფლაოები არ არის სპეციალური ოპერაცია, ეს არის ომის დანაშაულები და ჩვენ ევროკავშირში არ შევაქცევთ ზურგს და ჩავხედავთ რეალობას პირდაპირ თვალებში.

უნდა იყოს და იქნება კიდეც მძიმე შედეგები ყველასთვის, ვინც ამაზე პასუხისმგებელია. ჩვენ უკვე ვუჭერთ მხარს ყველა მცდელობას, შეგროვდეს მტკიცებულებები და გავაკეთებთ ყველაფერს, რათა ამის ჩამდენმა ადამიანებმა კანონის წინაშე პასუხი აგონ.

ძვირფასო კოლეგებო, მე მაქვს ერთი გზავნილი რუსი ჯარისკაცებისთვის, რომლებიც ახლა ბრძოლის ველზე არიან: თუ არ გინდათ მონაწილეობა თქვენი უკრაინელი ძმებისა და დების მკვლელობაში, თუ არ გსურთ, იყოთ კრიმინალები, დაყარეთ იარაღი, შეწყვიტეთ ბრძოლა, დატოვეთ ბრძოლის ველი.

მე ვიცი, ძვირფასო კოლეგებო, პარლამენტის წევრებო, რამდენიმე ქვეყანამ უკვე გააკეთა შეთავაზება, მიანიჭოს თავშესაფარი რუს ჯარისკაცებს, ვინც არ დაემორჩილება რუსეთის ბრძანებებს. ჩემი აზრით, ეს ღირებული იდეაა, რომელიც უნდა შესრულდეს.

ძვირფასო კოლეგებო, ზუსტად ახლა ჩვენ უნდა გავაკეთოთ ყველაფერი, რათა შევაჩეროთ ეს სიმხეცე, – განაცხადა შარლ მიშელმა.

ბუჩას მერი: „ოკუპაციის დროს რუსმა ჯარისკაცებმა ქალაქში 320 მშვიდობიანი პირი მოკლეს“

ქალაქ ბუჩას მერმა, ანატოლი ფედორუკმა, ბიბისის განუცხადა, რომ რუსმა ჯარისკაცებმა ოკუპაციის პერიოდში ქალაქში 320 მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს.

ანატოლი ფედორუკის თქმით, ის პირადად შეესწრო რუსი სამხედროების მიერ ადამიანების სიკვდილით დასჯის ფაქტებს.

– რამდენიმე ეპიზოდი ვნახე. სამი სამოქალაქო მანქანა ევაკუაციას კიევისკენ ცდილობდა. ისინი სასტიკად დახვრიტეს. ვნახე ორსული ქალი, რომლის ქმარი ყვიროდა, სთხოვდა, არ ესროლათ მისთვის, მაგრამ მათ ორსული ქალი სასტიკად დახვრიტეს, – განაცხადა ფედორუკმა.

ბუჩას მერმა აგრეთვე აღნიშნა, რომ რუსული ძალები ოკუპაციის დროს ადგილობრივ პოლიტიკოსებზე ნადირობდნენ.

ფედორუკმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვს, რომელმაც უარყო რუსი სამხედროების მიერ ომის დანაშაულების ჩადენის ბრალდებები, მოუწოდა, რომ „ჩასულიყო ქალაქ ბუჩაში, ენახა დაღუპულთა ცხედრები და თვალებში ჩაეხედა მათი ოჯახებისთვის – დედებისთვის, ქმრებისთვის, ბავშვებისთვის, რომლებიც დაობლდნენ“.

ახალი ზელანდია მოსკოვს სანქციებს უწესებს



რუსეთის უკრაინაში შეჭრისა და სრულმასშტაბიანი ომის ფონზე ახალი ზელანდია ოფიციალურ მოსკოვს სავაჭრო სანქციებს უწესებს.

ამის შესახებ ინფორმაცია ახალი ზელანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზეა გავრცელებული.

უწყების ცნობით, ახალი ზელანდიის ხელისუფლება აგრესორი ქვეყნიდან იმპორტირებულ ყველა პროდუქტზე 35%-იან გადასახადს აწესებს.

„დღევანდელი დღისთვის ეს არის ახალი ზელანდიის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური პასუხი რუსეთის უკრაინაში შეჭრაზე“, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

ახალი ზელანდია ასევე გააფართოებს არსებულ სანქციებს ინდუსტრიულ პროდუქტებზე, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის სტრატეგიულ ინდუსტრიებთან.

აშშ უკრაინას „ჯაველინის“ ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემებს მიაწვდის

ამერიკელი თანამდებობის პირების ცნობით, აშშ უკრაინას 100 მილიონი დოლარის ღირებულების „ჯაველინის“ ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემებს მიაწვდის.

ინფორმაციას ამის შესახებ ბიბისი ავრცელებს.

ბიბისის ცნობით, დამატებით გამოყოფილი „ჯაველინები“ აგვისტოს შემდეგ ვაშინგტონის მიერ კიევის დასახმარებლად გაგზავნილი აღჭურვილობის რიგით მეექვსე პარტია იქნება.

გამოცემის თანახმად, აღნიშნული დაპირების ჩათვლით, რუსეთის შეჭრის შემდეგ აშშ-ს მიერ უკრაინისადმი გამოყოფილი სამხედრო ტექნიკის ღირებულება 1.7 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დავით კერესელიძე: „სტადიონზე ავკრძალავთ სიგარეტის მოწევასა და გინებას“

ქუთაისის ტორპედოს პრეზიდენტმა დავით კერესელიძემ პრესკონფერენცია გამართა, სადაც კლუბში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრა.

დავით კერესელიძე:

– ყველას გვიხარია, როდესაც გუნდი ერთიანია, როდესაც გულშემატკივარი სტადიონზეა და ბედნიერია. თუმცა, არ არის მისაღები, რაც ბოლო თამაშის დროს ვნახეთ. და არამხოლოდ ბოლო თამაშის დროს. არავის გვიხარია, როდესაც სტადიონზე ბევრი ქალბატონი და ბავშვია და ისმის გინება... არ აქვს მნიშვნელობა, ვისი მხრიდან ან ვისი მისამართითაა ეს შეურაცხყოფა. ჩვენ ამას ვემიჯნებით და ვაცხადებთ, რომ ეს არის ყოვლად მიუღებელი! როდესაც ჩვენ გუნდში მოვდიოდით, ერთ-ერთი პირობა იყო ის, რომ მაქსიმალურად ბევრ ადამიანს სიგარეტისთვის თავი დაენებებინა. შესაბამისად, ვამატებთ მეორე პირობასაც – უშვერი სიტყვებით ერთმანეთის მოხსენიება, მინიმუმ, შევამციროთ, შემდეგ კი სულ ავკრძალოთ.

არ მჯერა, რომ მოწინააღმდეგე გუნდს, მსაჯს, ვინმე საერთოდ ერთმანეთს უნდა აგინებდეს და ეს ფეხბურთს უხდება... ბევრი საუბარი გვქონდა ფანკლუბთან დაკავშირებით – „ჯუნგლები“ ნერვებს გვიშლიანო. როდესაც მოედანზე გადმოდიხართ, ისვრით აკრძალულ საგნებს, რის გამოც კლუბს აჯარიმებენ, ეს არ მოგვწონს. თუმცა, ვამაყობთ მაშინ, როდესაც გუნდს მხარს უჭერთ წვიმაში, ქარში, ავდარში, როდესაც ტაშს უკრავთ წაგებული თამაშის შემდეგ, მაგრამ როდესაც ტაშს არ უკრავთ, გვესმის და ვიღებთ, მაგრამ ვერ მივიღებთ შეურაცხყოფას როგორც გუნდის წევრების, ისე ნებისმიერი სხვა ადამიანის მიმართ.

გვაქვს ამბიცია, რომ ქუთაისის ტორპედო სულ მალე საერთაშორისო სტანდარტების კლუბი იქნება. გპირდებით, რომ პირადად მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ სპორტული შედეგი ყველასთვის იყოს, მისაღები, სასურველი და კიდევ ერთ სიტყვას ვიტყვი – საამაყო!

გვექნება ყოველთვიური შეხვედრები და ამ საკითხის დეტალური განხილვა და არც ის გვიჭირს, რომ მივიღოთ გადაწყვეტილებები! ყველაფერს აქვს თავისი დრო და ფორმა...

გია ცეცაძის განცხადება წასვლის თაობაზე არ დავაკმაყოფილეთ, რადგან ჩვენ არ გვინდა ასეთი ურთიერთობის წახალისება და ეს არის ყოვლად მიუღებელი! მისი საქციელი გულშემატკივრების მიმართ ჩემთვის არის ძალიან გულდასაწყვეტი! ისევე, როგორც ჩემთვის მიუღებელია მისდამი გამოვლენილი ისეთი მტრული დამოკიდებულება, რომელიც იმ მომენტში ჩვენ ყველამ ვიგრძენით.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქალეიდოსკოპი

გოგონამ მძარცველი მახრჩობელა ილეთით გააუვნებელყო

ბრაზილიაში მძარცველი შეეცადა ქუჩაში გოგონასთვის ტელეფონი წაერთმია, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და საბოლოოდ თავი ციხეში ამოყო.

აღნიშნული ინციდენტი ბრაზილიის ამაზონის შტატში მოხდა. მამაკაცმა გოგონას, რომელიც ტაქსს ელოდებოდა, ტელეფონი გამოსტაცა და გაქცევას შეეცადა, თუმცა გოგონა არ დაიბნა, მძარცველს გამოეკიდა და მისი დაკავება მოახერხა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ გოგონა პროფესიონალი ძიუდოისტია. მან მძარცველი მახრჩობელა ილეთით დაიმორჩილა და ასე ჰყავდა გაკავებული ადგილზე პოლიციის მისვლამდე. ამ ყოველივეს ამსახველ ვიდეოში, რომელიც ერთ-ერთმა თვითმხილველმა გადაიღო, ის მომენტია აღბეჭდილი, როდესაც მამაცი გოგონა დამნაშავეს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს გადასცემს, ხოლო მის ირგვლივ თავმოყრილი ხალხი მას აპლოდისმენტებით მიესალმება.

ამ შემთხვევის გმირის ვინაობა უცნობი დარჩა, უიღბლო მძარცველი კი საპატიმროში მოხვდა.

მამაკაცმა საოცნებო მოტოციკლი მონეტებით სავსე ურიკით შეიძინა

ინდოეთის ტამილნადის შტატის ქალაქ სალემის მცხოვრებმა ერთი ურიკა მონეტებით, რომელსაც სამი წლის განმავლობაში აგროვებდა, გადაიხადა თანხა თავის საოცნებო მოტოციკლში.

29 წლის ვ. ბხოპატი სამი წელი აგროვებდა მონეტებს, რათა შეეძინა მოტოციკლი Bajaj Dominor 400. სალემში შოურუმი მას შემდეგ აირჩია, რაც მენეჯერმა აცნობა, რომ მათ ჰქონდათ ის მოტოციკლი, რომლის შეძენაც მას სურდა.

ინდოელის განმარტებით, მან სამი წლის წინ იკითხა, თუ რა ღირდა მისი ოცნების მოტოციკლი და უპასუხეს, რომ მისი ფასი 200 ათას რუპიას შეადგენდა. მაშინ მას არ ჰქონდა ასეთი თანხა და გადაწყვიტა, ფული გადაედო იმ შემოსავლიდან, რომელსაც იუთუბის არხიდან იღებდა.

თავდაპირველად მან ჯერ 10 ათასი რუპია შეაგროვა სხვადასხვა ნომინალის ფულის ნიშნებით, შემდეგ კი მთელი თავისი დანაზოგი ერთი რუპიის ნომინალის მონეტებზე გადაცვალა.

შოურუმის ხელმძღვანელს არ სურდა მონეტების მიღება, თუმცა შემდეგ დათანხმდა, ვინაიდან არ სურდა მყიდველის გაწბილება. მის თანამშრომლებს 10 საათზე მეტი დასჭირდათ მონეტების გადასათვლელად. ბხოპატიმ ფული პიკაპით მიიტანა, იქიდან კი ურიკით გადმოტვირთა.

სიძე-პატარძალმა ქორწილში დედას და სტუმრებს სცემეს და ციხეში მოხვდნენ

ბრიტანეთის ქალაქ ბატეიტში პატარძალმა ქორწილში საკუთარ დედას სცემა. შედეგად ახალშეუღლებულები და მათი ხელისმომკიდე გისოსებს მიღმა აღმოჩნდნენ.

ჩხუბი 26 წლის კლერ გუდბრანდმა წამოიწყო. მისივე აღიარებით, ის დედას მუშტებს და ფეხებს ურტყამდა თავსა და მთელ სხეულზე. შემდეგ ზევიდან დააჯდა და მის გაგუდვას შეეცადა.

მალე ამ არეულობაში მისი საქმრო იმონი გუდბრანდი ჩაერთო, რომელიც, როგორც მოგვიანებით გაირკვა, პროფესიონალი მოკრივე აღმოჩნდა. მან თავის ძმასთან ერთად, რომელიც მათი ხელისმომკიდეც იყო, რამდენიმე სტუმარს სერიოზული დაზიანებები მიაყენა. ერთ-ერთმა მათგანმა კი ერთი თითი ნაწილობრივ დაკარგა.

დაპატიმრების შემდეგ ახლად შეუღლებულები და მათი ხელისმომკიდე ცალ-ცალკე საკნებში მოათავსეს. აღნიშნული ინციდენტის მიზეზებზე არც დაპატიმრებულებმა და არც დაშავებულებმა არ ისურვეს განმარტების გაკეთება.

პატარძალმა თავი დამნაშავედ ცნო თავდასხმასა და სხეულის დაზიანებების მიყენებაში. ასევე, თავი დამნაშავედ ცნეს სიძემ და მათმა ხელისმომკიდემ. სასამართლო საბოლოო განაჩენს 29 აპრილს გამოიტანს.

მამაკაცმა ძვირადღირებული ავტომობილი შეიძინა და მაშინვე დაამტვრია

ბრიტანეთის დერბიშირის საგრაფოს ქალაქ დერბის მკვიდრმა მძღოლმა ფერარის მარკის ავტომობილი შეიძინა და იმავე დღეს, სამი კილომეტრის გავლის შემდეგ დაამტვრია.

ბრიტანელმა სალონიდან, სადაც მან ფერარი 488 შეიძინა, სულ რაღაც სამი კილომეტრი გაიარა და ავტოავარიაში მოყვა.

250 ათასი ფუნტი სტერლინგის ღირებულების წითელი ფერის ავტომობილის წინა ნაწილი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად სერიოზულად დაზიანდა.

საგზაო პოლიციაში დააზუსტეს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ფერარის მძღოლი არ დაშავებულა და არც სხვა მანქანები დაზიანებულა.

მძარცველმა ლატარიაში მოგებული ფული მის მიერ დაზარალებულებს დაურიგა

არგენტინის ქალაქ პუერტო-მადრინის მცხოვრებმა მძარცველმა ლატარიაში სოლიდური თანხა მოიგო და პოლიციელებს პირობა მისცა, რომ აღარასოდეს იქურდებდა და გადაწყვიტა, მოგებული ფული თავისი ქმედების შედეგად დაზარალებულებისთვის დაერიგებინა.

მარსელო პარედესი, მეტსახელად რამპიტო, პოლიციელებმა არაერთხელ დააპატიმრეს ქურდობის, ძარცვისა და სამართალდამცავებისგან მიმალვის მცდელობისთვის. ის შვიდჯერ იყო ნასამართლევი.

პარედესმა ლატარიის ბილეთი იყიდა და 94 მილიონი არგენტინული პესო მოიგო.

– ბიჭებო, აღარასოდეს მოვიპარავ, – განუცხადა მან პოლიციელებს და გადაწყვიტა, მოძებნოს ის ადამიანები, რომლებიც გაძარცვა და მათთვის მოპარულზე ორჯერ მეტი თანხა დაუბრუნოს. ის ამტკიცებს, რომ დანაშაულებრივ გზას აღარ დაადგება და პატიოსნად იცხოვრებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბუდუ ზივზივაძე: „ბავშვობის ოცნება ამიხდა“

საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა ბუდუ ზივზივაძემ ბოსნიასთან მატჩში გამარჯვების გოლი გაიტანა, რომელიც ეროვნულ გუნდში სადებიუტო გამოდგა.

ზივზივაძე უნგრეთშიც ათამაშდა. ქართველმა ფეხბურთელმა კლუბი გამოიცვალა და 6 ტურში 6 გოლიც შეაგდო. აქედან 2 ყოფილ გუნდს, ფეჰერვარს, გაუტანა.

ზივზივაძე უკვე სამჯერ მოხვდა უნგრეთის მთავარი ლიგის ტურის სიმბოლურ ნაკრებში.

– სადებიუტო გოლი 28 წლის ასაკში. რა ემოცია გქონდა?

– რთული თამაში იყო. ბოსნია-ჰერცეგოვინა კარგი გუნდია. საკუთარი მაყურებლის წინაშე გამარჯვების მოპოვება სურდათ. ვფიქრობ, დაცვით ფაზაში ჩვენმა გუნდმა კარგად იმუშავა. განსაკუთრებით მცველებმა და მეკარემ. გოლი არ გავუშვით, რაც ძალიან კარგია. გახარებული ვართ წლის პირველ შეხვედრაში გამარჯვებით.

ძალიან ბედნიერი ვარ სადებიუტო გოლით. ბავშვობის ოცნება ამიხდა და ორმაგად სასიხარულოა, რომ გუნდმა ჩემი გოლით მოიგო. თუმცა, ყოველთვის მზად ვარ მაქსიმუმი გავაკეთო და დავეხმარო გუნდს, იქნება ეს გოლი, თუ უბრალოდ კარგი თამაში. გოლის ეპიზოდში კვარაცხელიამ ძალიან კარგად ითამაშა, კარგი პასი მომცა და ისღა დამრჩენოდა, რომ გოლი გამეტანა.

– საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, ვლადიმირ ვაისის მიმართ უკმაყოფილებას არ მალავდი.

– იმ 5-წლიან პერიოდში, როცა ვაისი საქართველოს ნაკრებს წვრთნიდა, რამდენიმე შანსი მივიღე. დუბაის შეკრების შემდეგ, სადაც ეროვნული ჩემპიონატის ფეხბურთელებით 2 მატჩი გავმართეთ, სლოვაკმა მწვრთნელმა მითხრა, რომ ჩემით კმაყოფილი იყო. ეს მიუხედავად იმისა, რომ მაშინ გოლი არ გამიტანია. როცა ევროპაში წავედი და გატანა სტაბილურად დავიწყე, რამდენჯერმე გამოვთქვი უკმაყოფილება, რომ მიწვევას ვიმსახურებდი. მის მიმართ გაბრაზება არ მქონია – ყველა მწვრთნელს თავისი გემოვნება აქვს.

– ახალმა მწვრთნელმა, ვილი სანიოლმა, სათამაშო სქემა შეცვალა, თითქოს ნდობაც აქვს გამოცხადებული.

– სათამაშო სქემის შეცვლის შემდეგ გამოჩნდა, რომ დაცვაში ძალიან კარგად ვთამაშობთ. იმედია, ერთა ლიგაზეც ასე გავაგრძელებთ და საკუთარ კარში გოლებს არ მივიღებთ. რა თქმა უნდა, შემტევ ფეხბურთელებს მეტი გვმართებს – უნდა გავიტანოთ და ევროპის ჩემპიონატზე გასვლა შევძლოთ. იმედი მაქვს, რომ ძირითად შემადგენლობაში თამაშს დავიმსახურებ. ბოსნიაში გატანილმა გოლმა, წესით, თავდაჯერება უნდა შემმატოს. რა თქმა უნდა, მსურს დიდი დრო მივიღო. თუმცა, ყველა შეხვედრას სასტარტოში ვერ დაიწყებ – 10 დღეში ხომ 4 დაპირისპირება გვაქვს. ჯერ კლუბში გამოსვლით მიწვევა უნდა დავიმსახურო და კონკურენცია დავძლიო.

– უნგრეთის ჩემპიონატზეც გკითხავ. ფეჰერვარიდან განათხოვრებული ხარ და მათ წინააღმდეგ ითამაშე.

– უნგრეთში ფეხბურთელს არ უკრძალავენ ითამაშოს იმ გუნდის წინააღმდეგ, რომელიც

იჯარით უშვებს.

– უიპეშტში როგორ მოხვდი?

– ფეჰერვარში ფორმის აღდგენის შანსი არ მომეცა. მწვრთნელს ჰქონდა თავისი ინტერესი, რომელზე საუბარიც არ მსურს. მითხრა, სათამაშო დრო არ გექნებაო და დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა, მე თამაში მინდოდა...

ვინც უიპეშტში მიმიწვია, მათგან ნდობა ვიგრძენი, რაც ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ეს არის გასაღები იმისა, რომ ფეხბურთელმა წარმატებით ითამაშოს.

კლუბი პირადად დამიკავშირდა და, ინტერესთან ერთად, ნდობაც დავინახე. უიპეშტს რთული დრო ედგა – გავარდნის საფრთხის წინაშე იყო და დასახმარებლად დამიძახეს. ასეთ დროს გრძნობ, რომ გენდობიან და ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ეს იყო ყველაზე რეალურიც და ყველაზე სასურველი ვარიანტიც. რა თქმა უნდა, გიორგი ბერიძის ფაქტორმაც იმოქმედა – ჩვენ ვმეგობრობთ და მისი თანაგუნდელობაც მსურდა.

– კიდევ ერთ ყოფილ გუნდს, მეზეკოვეშდს, 2 გოლი გაუტანე.

– პირველ გოლზე თავი შევიკავე, რადგან ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ვთამაშობდი, მაგრამ მე-2 გოლის შემდეგ გრძნობებს უკვე ვეღარ ვაკონტროლებდი. ამის გამო მეზოკოვეშდის გულშემატკივრებს ბოდიშს ვუხდი.

– შენი მისვლის შემდეგ გუნდმა ბოლო ადგილს თავი დააღწია და ახლა კომფორტულ ზონაშია.

– ბოლო თამაშებიდან გამომდინარე, ეს ლოგიკურია. ჩემი მისვლის შემდეგ 6-დან 5 მატჩი მოვიგეთ და მე-7 ადგილზე ვართ, მაგრამ მეოთხეს მხოლოდ 3 ქულით ჩამოვრჩებით. თუმცა თავდაჯერება არ უნდა დავკარგოთ და ბოლომდე ვითამაშოთ, რადგან მოდუნების უფლება არ გვაქვს.

– მთავარია, ფორმაში შედიხარ.

– იმედია, მალე კიდევ უკეთ ვითამაშებ. ფეჰერვარში ბევრმა ფაქტორმა შემიშალა ხელი. ზაფხულიდან დეკემბრის ჩათვლით სამი პაუზა მქონდა. ერთხელ ტრავმის გამო 2 კვირა გავჩერდი, მერე 2-ჯერ კოვიდი მქონდა, ხოლო ამის შემდეგ თამაშები არ მქონდა და ფორმაშიც ვერ შევდიოდი. ახლა კი ამ მატჩებმა ისე გამახარა და ისეთი სტიმული მომცა, თავს ბედნიერად ვგრძნობ. თუმცა იმასაც ვგრძნობ, რომ ჯერ ბოლომდე „გახსნილი“ არ ვარ. მეტი უნდა ვიშრომო, რომ კიდევ უფრო შედეგიანი გავხდე. მჯერა, ეს შესაძლებელია.

სიტის ბრძოლა დარჩა, ლივერპულს – ფორმალობა

მანჩესტერ სიტი-ატლეტიკო 1:0

მანჩესტერი. ეტიჰადი

1:0 დე ბრუინი (70)

წილისყრის შემდეგ ამ წყვილის ფავორიტად სიტი ითვლებოდა. საშინაო მატჩში მანჩესტერელებმა ეს სტატუსი გაამართლეს, მაგრამ, ვერც იმას ვიტყვით, რომ პეპ გვარდიოლას გუნდს იოლი მოგება გამოუვიდა.

სიტი დიდ უპირატესობას ფლობდა და გამუდმებით ეძებდა ატლეტიკოს დაცვის გასაღებს. მადრიდელები იშვიათად ცდილობდნენ კონტრშეტევებით ეპასუხათ. დიდი დროის მანძილზე ეს ტაქტიკა იდეალურად მუშაობდა, რადგან მასპინძელთა ტოტალური უპირატესობის მიუხედავად სახიფათო მომენტების შექმნას ვერ ახერხებდნენ.

ატლეტიკოს დაცვა მაინც გატყდა – მე-2 ტაიმის შუაში კევინ დე ბრუინმა მაინც მოახერხა გოლის გატანა, რომელიც მატჩში ერთადერთი აღმოჩნდა.

სიტი ისევ ფავორიტად რჩება. თუმცა, სიმეონეს გუნდთან მადრიდში იოლი გასეირნება ნამდვილად არ ექნება და ბრძოლაა მოსალოდნელი. ატლეტიკომ ამოცანის მინიმუმი შეასრულა, რადგან საპასუხო მატჩის წინ ინტრიგა დატოვა. 13 აპრილს „ვანდა მეტროპოლიტანოზე“ ატლეტიკოც შეუტევს. ამასთან, სიტის მადრიდში ჩასვლამდე ინგლისის პრემიერლიგაში ლივერპულთან მატჩი უწევს, სადაც, დიდი შანსია, საჩემპიონო ტიტულის ბედი გადაწყდეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კევინ დე ბრიუნი

მანჩესტერელთა ბელგიელი ფეხბურთელი გუნდში ყველაზე აქტიურად გამოიყურებოდა. ხუთჯერ ცადა ობლაკისთვის ბურთის გატანა, რომელთაგან ერთი ზუსტი და გამარჯვების აღმოჩნდა.

პეპ გვარდიოლა:

– ატლეტიკოსთან სიტის მწვრთნელი ძალიან კარგი და ძალიან ჭკვიანი იყო. თუმცა, ბიჭებიც ძალიან კარგად თამაშობდნენ. მწვრთნელები, როცა ცვლილებებს მივმართავთ, ვფიქრობთ, რომ გუნდის თამაშის ხარისხი გაუმჯობესდება. ეს ზოგჯერ მუშაობს, ზოგჯერ – არა. თუ მუშაობს, ეს კარგია. თუ არ მუშაობს, ეს შეცდომაა. ატლეტიკო ძალიან გამოცდილი გუნდია და განმეორებით შეხვედრაში მაქსიმალური კონცენტრაციით უნდა ვითამაშოთ. გამარჯვება კარგია. მე-2 და მე-3 გოლის გატანის შანსი გვქონდა, მაგრამ გვესმის, რომ მეტოქე ძლიერი გუნდია, შემდეგ ეტაპზე გასვლის საკითხი მადრიდში გადაწყდება.

დიეგო სიმეონე:

– ეს ძალიან რთული მატჩი იყო. სიტიმ 3 შესანიშნავი ფეხბურთელი მოედნიდან გაიყვანა და 3 მაღალი კლასის ფეხბურთელი ჩართო. ვაღიარებ, ვფიქრობდი, რომ ფოდენს სასტარტოში ვიხილავდი. ვაღიარებ, სიტის თამაში სასიამოვნო საყურებელია. მეტოქე მოთმინებით თამაშობდა, მოთმინება გამოავლინა. ორივე გუნდის მიზანი ერთი იყო, გამარჯვება. სიტის უმაღლესი დონის მწვრთნელი ჰყავს და გუნდში ასევე უმაღლესი დონის ფეხბურთელები თამაშობენ. ჩვენი მიზანი თავის დაცვა და კონტრშეტევებზე თამაში იყო, მაგრამ ეს ვერ შევძელით.

ბენფიკა-ლივერპული 1:3

ლისაბონი. და ლუჟი

0:1 კონატე (17), 0:2 მანე (34), 1:2 ნუნიესი (49), დიასი (87)

ლივერპული ცალი ფეხით ნახევარფინალშია. მთლიანობაში ლისაბონელებმა საკუთარ მოედანზე ვერაფერი ღირებული ვერ გააკეთეს და ნათლად ჩანდა, რომ მეტოქე მათ კლასით მნიშვნელოვნად აღემატებოდა. ლივერპული თამაშს პირველიდან ბოლო წუთამდე აკონტროლებდა.

პირველი ტაიმი სრულიად მერსისაიდელების იყო და მეტოქეს თავის აწევის საშუალებას არ აძლევდა. იურგენ კლოპის გუნდმა ბევრი მომენტი შექმნა, მაგრამ მხოლოდ 2 გაიტანა: ჯერ კონატემ, შემდეგ კი მანემ „წითლებს“ შესვენებამდე კომფორტული უპირატესობა მოუტანეს.

მე-2 ტაიმის დასაწყისშივე ბენფიკამ მოახერხა და ერთი გოლი გაქვითა, მაგრამ ეს მაქსიმუმი იყო. სტუმრებმა მალევე დაიბრუნეს თამაშზე კონტროლი და დიასის გოლით ნახევარფინალისკენ ნაადრევად გაიწიეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლუის დიასი

დიასი ადრე ბენფიკას მთავარი კონკურენტის, პორტუს ფეხბურთელი იყო. ამიტომაც დე ლუჟზე მას სტვენით დახვდნენ, დიასმა კი გოლითა და საგოლე პასით უპასუხა.

ვერისიმო:

– გადაწყვეტილი არაფერია. მე-2 ტაიმი უკეთ ჩავატარეთ. ბიჭებს ვუთხარი, რომ ბურთის უფრო ხშირად ჰქონოდათ. 1:2 რომ წაგვეგო, ყველაფერი უფრო რეალური იქნებოდა, მაგრამ, თუ 2-ბურთიანი სხვაობით გავიმარჯვებთ, თამაში დამატებით დროში გადავა და იქ არავინ იცის, რა მოხდება. მოცემული ანგარიში ამოცანას ართულებს. გოლის გატანა მნიშვნელოვანი იყო და ეს გამოგვივიდა. ვფიქრობ, ბრძოლა კიდევ შეგვიძლია.

იურგენ კლოპი:

– ჩემპიონთა ლიგაში სტუმრად თამაშების მოგება ყოველთვის რთულია. ჩვენ ჩამოვედით და გავიმარჯვეთ. ბენფიკას გოლის გატანის საშუალება მივეცით, მაგრამ ერთი გოლი დაიმსახურეს. პორტუგალიელებს კარგი ფეხბურთელები ჰყავთ და კონტრშეტევებზე სახიფათოდ თამაშობდნენ. რთული თამაში და ამას ველოდებოდი. 2-ბურთიანი სხვაობა სასიამოვნოა, მაგრამ არაფერს ნიშნავს. ყველაზე მეტად გოლის გაშვება არ გვინდოდა. თუმცა, ფეხბურთია და ასე ხშირად ხდება. ბენფიკას მხრიდან საუკეთესო მეკარე იყო – რამდენიმე კარგი ბურთი მოიგერია. განმეორებითი თამაშის წინ, მეტოქეზე ბევრად მეტი ვიცით, ვიდრე აქამდე ვიცოდით. ბენფიკა სახიფათო გუნდია. მათ ბარსელონა ჩატოვეს ჯგუფში და მერვედფინალიდან აიაქსი გააგდეს. რამდენიმე დღეში სიტის ვეთამაშებით, მაგრამ ლისაბონელებთან დაპირისპირებისთვის მაინც მზად ვიქნებით.

ნიტაიშვილი პოლონეთში ითამაშებს, დავითაშვილი – ბათუმში



გიორგი წიტაიშვილი

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი გიორგი წიტაიშვილი უკრაინას რომ დატოვებდა და კარიერას სხვა ქვეყანაში გააგრძელებდა, სადღეისო მოცემულობით, ნათელი იყო. წიტაიშვილი ფორმის შესანარჩუნებლად თბილისის დინამოში ვარჯიშობდა, მაგრამ პოლონეთში, კრაკოვის ვისლაში ითამაშებს.

ვისლამ 21 წლის ფეხბურთელის გადაბირება ოფიციალურად დაადასტურა.

– ჩვენს გუნდს 21 წლის გიორგი წიტაიშვილი შეუერთდა და პოლონეთის 13-გზის ჩემპიონთან კონტრაქტი 2022 წლის 30 ივნისამდე გააფორმა. ქართველი ფეხბურთელი ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე ასპარეზობს, მაგრამ, როგორც მარცხენა ფლანგზე, ისე შემტევ ნახევარმცველად თამაში შეუძლია, – წერია ვისლას ვებგვერდზე.

შეგახსენებთ, რომ წიტაიშვილი კიევის დინამოს საკუთრებაა, მაგრამ იჯარით ოდესის ჩერნომორეცში თამაშობდა. წიტაიშვილს კიევის დინამოსთან კონტრაქტი 2025 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს. თუმცა, უკრაინაში მიმდინარე მოვლენების გამო, იძულებული გახდა, დროებით სხვა კლუბი მოეძებნა.

როგორც იქნა, ტულის არსენალის პრესსამსახურმა დაადასტურა, რომ ქართველმა ფეხბურთელმა ზურიკო დავითაშვილმა რუსული კლუბი დატოვა.

21 წლის ფეხბურთელს რუსეთიდან წასვლა და ახალი კლუბის მოძებნა 7 აპრილამდე შეეძლო და ეს ყველაფერი ერთი დღით ადრე გადაწყდა.

„საქართველოს ნაკრების განკარგულებაში მყოფმა ზურიკო დავითაშვილმა კლუბს განცხადება გამოუგზავნა თხოვნით, რომ მასთან კონტრაქტი გაეწყვეტათ. ნახევარმცველმა საკუთარი გადაწყვეტილება ოჯახური გარემოებებით ახსნა“, – წერია კლუბის განცხადებაში.

ამ დროისთვის დავითაშვილი ბათუმში იმყოფება და დინამოსთან ერთად ვარჯიშობს.

დავითაშვილი ტულის არსენალს 2021 წელს შეუერთდა და 23 მატჩში ოთხი გოლი გაიტანა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

5 აპრილი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ბენფიკა-ლივერპული	1:3
სიტი-ატლეტიკო	1:0

ინგლისი. ჩემპიონლიგა

მილუოლი-სუონსი	0:1
პიტერბრო-ლუთონი	1:1
პრესტონი-ბლექპული	1:0
შეფილდი-ქპრ	1:0
რედინგი-სტოკი	2:1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰამბურგი-აუე	4:0

იტალია. სერია ბ

კრემონეზე-ალესანდრია	2:1
პორდენონე-ფროზინონე	2:0
რეჯინა-ბენევენტო	0:3
სპალი-კოზენცა	2:2
ტერნანა-ლეჩე	1:4

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

კროსვორდი ბ



შვეულად: 1. პოლონელი გრაფი, კომპოზიტორი, დიპლომატი; 2. ღვთაების, ხატის სადიდებელი გუნდური სიმღერა საეკლესიო დღესასწაულების დროს; 3. უწახნაგოდ, მრგვლად დამუშავებული ბრილიანტი. 4. ძველბერძენი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი; 7. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 8. კოსმოდრომი იაპონიაში; 12. ლონდონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია ცნობილი ობსერვატორია; 14. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 16. ბეჭდვითი გამოცემა, იუმორისტული ნახატების სერიალი ტექსტთან ერთად; 17. შენობის სახურავად გამოყენებული თიხის გამომწვარი ფირფიტა; 19. უძველესი ებრაული ბიბლია; 20. ოპერა „აბესალომ და ეთერის“ პერსონაჟი.

თარაზულად: 5. სახელმწიფოთა შორის თანხმობა ელჩების დანიშვნის შესახებ; 6. ქართველი საერთაშორისო კატეგორიის რაგბის მსაჯი; 9. ყველაზე დიდი ჰიდროელექტროსადგური ეგვიპტეში; 10. შვილიშვილის ძველი ქართული სახელწოდება; 11. ინგლისელ კოლონიზატორთა მეტსახელი; 13. ცხელი შაქრიანი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 15. უღელტეხილი საქართველოში; 18. აკვიატებული შიში; 21. ხელოვნების მუზეუმი ბერლინში; 22. ბაზრის ძველი სახელწოდება; 23. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბიშკეკი; 2. ჭომა; 3. სვანი; 4. გლდანი; 6. ფეხბურთი; 9. ლოკალი; 13. ოჩოკოჩი; 14. ვახშამი; 15. ქონება; 17. ფრაჟე; 18. დიანა; 20. ხადა.

თარაზულად: 1. ბოჭორმა; 5. გოლფი; 7. ღვეზელი; 8. შამხალი; 10. ზუთხი; 11. ნოკია; 12. დუკერი; 16. მანათი; 17. ფორდი; 19. ოლქი; 21. ბესონი; 22. ეჟვანი; 23. პასივი; 24. გიურზა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პარკუჭი; 2. ლაქშმი; 3. სემაფორი; 4. ვილაიეთი; 7. პოსტულატი; 8. ალაშვილი; 12. იაგდტაში; 14. კონგრესი; 16. ბოქსიტი; 17. ფუტზალი; 19. რიწა; 20. ლადა.

თარაზულად: 5. ვალენსია; 6. ედელვაისი; 9. ბუსეტო; 10. მესეფი; 11. კანტე; 13. მასკი; 15. კოპოლა; 18. ზონდი; 21. თეოდოლიტი; 22. ინფანტა; 23. ყაზბეგი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

7 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0839

ევრო — 3.3633

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0350

100 რუსული რუბლი — 3.6963

ამინდის პროგნოზი 7 აპრილისათვის

მემფის დეპაიმ მცირე ტრავმა მიიღო

ბარსელონის ჰოლანდიელმა შემტევმა მემფის დეპაიმ ტრავმა მიიღო და, სავარაუდოდ, ამ მიზეზით დაახლოებით 2 კვირას გამოტოვებს.

ჯერჯერობით უცნობია ზუსტი თარიღი, როდის დაბრუნდება მემფისი მოედანზე, მაგრამ ფაქტია, რომ მას გაუჭირდება ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება, რადგან ბარსელონას შეტევაში საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი ჰყავს.

იბრაჰიმოვიჩი კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა

მილანის შვედი ფორვარდი ზლატან იბრაჰიმოვიჩი კარიერის დასრულებაზე დაფიქრდა და, შესაძლოა, სეზონის ბოლოს ეს გააკეთოს კიდეც. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მილანი იტალიის ჩემპიონატს მოიგებს.

იბრაჰიმოვიჩმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ის ფიქრობს, თუ როგორი იქნება მისი ცხოვრება ფეხბურთის შემდეგ. ზლატანმა არ გამორიცხა, რომ შესაძლოა მწვრთნელი გახდეს.

კუმანი, შესაძლოა, ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელი გახდეს

რონალდ კუმანი, შესაძლოა, უახლოეს მომავალში ჰოლანდიის ნაკრებს ჩაუდგეს სათავეში და ამის შესახებ საუბრები სერიოზულად მიმდინარეობს.

თუ კუმანმა ეს გადაწყვეტილება მიიღო, მაშინ მასთან 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებენ. შეგახსენებთ, რომ ბოლოს კუმანი ბარსელონის მთავარი მწვრთნელი იყო, სადაც მას კარიერა არ აეწყო და ნოემბერში გაათავისუფლეს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

...

მასწავლებელმა კლასს დაავალა დაეწერათ საკლასო თემა „რას გავაკეთებდი, მილიონი რომ მქონოდა?“

დაახლოებით ოცდახუთი წუთის შემდეგ გიგი მასწავლებელთან მიდის ფურცლით, რომელიც რაღაც ანგარიშებითაა აჭრელებული და ეუბნება:

– მაპატიეთ, პატივცემულო მასწავლებელო და კიდევ ოთხმოცდათოთხმეტი ათასს ხომ ვერ დამიმატებდით?

...

მამაკაცი სექსოპათოლოგს ეკითხება:

– ექიმო, სექსის შემდეგ დაახლოებით ათი წუთის მანძილზე შუილები მესმის და რისი ბრალია?

– უკაცრავად და რამდენი წლის ხართ?

– სამოცდაშვიდის.

– აბა რა გინდა, შე დალოცვილო, აპლოდისმენტები გესმოდეს?

...

ავტობუსში ასულ მამაკაცს მძღოლი ეუბნება:

– უკან გადაიწიეთ.

კაცმა ორი ნაბიჯით გადაიწია.

ცოტა ხანში მძღოლი ისევ აყვირდა:

– უკან გადაიწიეთ!

კაცმა რამდენიმე ნაბიჯით ისევ გადაიწია, მაგრამ მძღოლი არ ჩერდება:

– უკან გადაიწიეთ!

– რა გაყვირებს, შე კაცო, ფეხით სიარული რომ მდომებოდა ამ ავტობუსში კი არ ამოვიდოდი! – ვეღარ მოითმინა კაცმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯამალა თბილისში უკრაინელების მხარდასაჭერ კონცერტზე იმღერებს

„ევროვიზია 2016“-ის გამარჯვებული, უკრაინელი მომღერალი ჯამალა, თბილისში ჩამოვა და უკრაინისთვის მხარდამჭერ კონცერტზე იმღერებს.

11 აპრილს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში უკრაინელი და ქართველი არტისტები უკრაინის მხარდამჭერ ერთობლივ სოლიდარობის აქცია-კონცერტსა და ტელემარათონს გამართავენ.

საქველმოქმედო საღამო უკრაინაში თავისუფლებისთვის მებრძოლ ადამიანებს მიეძღვნება. მარათონის მიზანია რუსეთის აგრესიის შედეგად დაზარალებული უკრაინელი ხალხის მხარდაჭერა და ფინანსური დახმარება.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ლვოვის საერთაშორისო სიმფონიური ორკესტრი, საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკოლოზ რაჭველის ხელმძღვანელობით, ქართული ნაციონალური ბალეტი სუხიშვილები, ჯამალა, ნინო ქათამაძე, ბექა გოჩიაშვილი, გიორგი ცაგარელი, სოფო ბათილაშვილი, ლიზი რამიშვილი, პაპუნა შარიქაძე, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტური გუნდი.

მარათონს მსახიობი ნინო კასრაძე გაუძღვება, სპეციალური სტუმარი კი მაშა ეფროსინინა იქნება.

უკრაინის მხარდასაჭერ კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 25-45 ლარია.

დემნას ბალენსიაგა 100 ყველაზე გავლენიანი კომპანიის სიაშია

ქართველი დიზაინერის დემნას ბალენსიაგა რჩეულთა შორისაა.

თაიმმა 2022 წლის 100 ყველაზე გავლენიანი კომპანია დაასახელა.

ტექნოლოგიური, ციფრული გიგანტების გვერდით ბალენსიაგა მაღალი მოდის ერთადერთი ბრენდია – პირველად ბალენსიაგას 100-წლიან ისტორიაში.

დემნა:

– მარჯიელას პირადად არასდროს შევხვედრივარ. მაგრამ წერილი მივწერე და ჩემი მადლიერება გამოვხატე. მე ბრენდში იმიტომ დავრჩი, რომ მისი მემკვიდრეობა გადამერჩინა და განმევითარებინა, მაგრამ ბრენდის დღევანდელმა მფლობელებმა არაფრად ჩამაგდეს, სპეციალურად მომცეს პროექტი, რომელზეც მუშაობა არ მინდოდა. იცოდნენ ჩემი დამოკიდებულება, მაგრამ არაფრად ჩამაგდეს, ამიტომ წამოვედი. 12 წელი გავიდა და უკან არ მივბრუნებულვარ.

როდესაც ლუი ვიტონში დავიწყე მუშაობა, უკვე ძალიან გაბრაზებული ვიყავი. ვიცოდი, რომ საკუთარი თავისთვის რაღაც უნდა გამეკეთებინა. მიღებული ანაზღაურებიდან ფულის „გადადება“ დავიწყე. 2 წელიწადში, საკმარისი თანხის შეგროვების შემდეგ, მივიღე გადაწყვეტილება, რომ ლუი ვიტონიდან წამოვსულიყავი.

ფული ვეტმანის შექმნაში ჩავდე. როდესაც ვეტმანი წარმატებული გახდა, ყველა ამბობდა, რომ მარჯიელას ვაკოპირებდი და ეს სირცხვილია, მაგრამ მე ვაჩვენე მათ, რის გაკეთება შემეძლო და მინდოდა მათი ბრენდისთვის, რის ნებაც არ დამრთეს, მაგრამ დღეს მოხარულიც ვარ, რომ ასე მოხდა. სხვაგვარად, ახლა აქ არ ვიქნებოდი, არ იარსებებდა არც ვეტმანი და არც დემნა იქნებოდა „ვიღაც“.

ბევრი მეკითხება, დილას ესკიზების ხატვით ვიწყებ თუ არა – დილით გაიღვიძო და ესკიზების ხატვა დაიწყო, ეს სიგიჟეა. მუსიკოსზე ვარ დაქორწინებული, დილით ბას-გიტარის ხმაზე ვიღვიძებ. საუზმეზე ისე ვართ, როგორც კლუბში რამდენიმე საათის შემდეგ. არ ვაზვიადებ, დღეს დილით მეზობლებმა დაგვიკაკუნეს ხმამაღალი მუსიკის გამო. ჩემთვის სიგიჟეა, დილით გავიღვიძო და ესკიზებზე მუშაობა დავიწყო, შეიძლება იმიტომ, რომ მოდაში არ „ვცხოვრობ“, ჩემი სივრცე მაქვს. შუადღემდე ჩემს ცხოვრებაში მოდა არ შემოდის.

ღვთისმსახურმა სერფერი ზვიგენის თავდასხმისგან იხსნა

ავსტრალიაში კათოლიკე ღვთისმსახურმა სახელმწიფო ჯილდო მიიღო ზვიგენისგან სერფერის გადარჩენისთვის.

მამა ლიამ რაიანმა მედალი „მამაცობისთვის“ 2020 წლის 31 ივლისის ინციდენტის შემდეგ მიიღო. ღვთისმსახურის თქმით, ის დასავლეთ ავსტრალიის შტატის ბანკერ-ბეის პლაჟზე დასასვენებლად მეგობართან და მის ოჯახთან ერთად იმყოფებოდა.

– ჩვენ წყალში დიდი ხნის ჩასულები არ ვიყავით, მივცურავდით ახალი ტალღის დასაჭერად, როდესაც შევნიშნეთ, რომ ერთ-ერთი სერფერის ზურგს უკან ხუთმეტრიანი დიდი თეთრი ზვიგენის ზურგის ფარფლი გამოჩნდა, – იხსენებს ღვთისმსახური.

ზვიგენი მამაკაცს თავს დაესხა და კბილებით მის საცურაო დაფას ჩააფრინდა, რა დროსაც სერფერს ფეხის ტერფი სერიოზულად დაუზიანდა. დაშავებულმა, 28 წლის ფილ მამერტმა მტაცებლისთვის პირში დაფის ნაწილის ჩატენა მოახერხა, მაგრამ ის მის ირგვლივ ტრიალს აგრძელებდა. ამ დროს მის დასახმარებლად მამა რაიანი, მისი მეგობარი და კიდევ ერთი სერფერი, სახელად ალექს ოლივერი, რომელმაც ასევე მიიღო მედალი „მამაცობისთვის“, გაემართნენ. მათ მოახერხეს, ზვიგენი სერფერისთვის მოეშორებინათ და შემდეგ ნაპირზე ამოიყვანეს.

– ფილს ძალიან გაუმართლა, მოგვიანებით გაირკვა, რომ ზვიგენს ცოტა დააკლდა მისთვის არტერიის დასაზიანებლად. შეიძლება ეს იღბლიანობად ჩაითვალოს, მაგრამ ვფიქრობ, რომ ღვთის წყალობა უფრო იყო, – განაცხადა მამა რაიანმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ია არსენიშვილმა სერგო ფარაჯანოვის კონკურსში გაიმარჯვა

მხატვარმა ია არსენიშვილმა სერგო ფარაჯანოვის სახელობის შემოქმედებით კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა.

სასიხარულო ინფორმაცია ხელოვანმა თავად გაავრცელა:

– პირველი ადგილი „სერგო ფარაჯანოვის სახელობის შემოქმედებით კონკურსში“. მადლობა მინდა გადავუხადო გამოფენის ორგანიზატორებს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

7 აპრილისათვის

ვერძი – ახალი საქმის დაწყება გაგიჭირდებათ. სანამ გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით და პრიორიტეტები გამოყავით. **კურო** – სურვილი გაქვთ, რაღაც შეცვალოთ, მაგრამ მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. მცირეოდენი ყურადღება დაუთმეთ ნათესავებსა და ახლობლებსაც. **ტყუპები** – ნერვებს გაუფრთხილდით. ნუ დაწვრილმანდებით. ერიდეთ კონფლიქტში ჩართვას. **კირჩხიბი** – ცრუ განგაშს არ აპყვეთ. ალკოჰოლს არ გაეკაროთ. სიმშვიდე და სიკეთე დღის დევიზია. **ლომი** – წარმატება გელით პროფესიულ საქმიანობაში. მეგობრის რჩევა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში დაგეხმარებათ. **ქალწული** – ახალი საქმე თქვენგან ენერგიასა და ნებისყოფას მოითხოვს. ამიტომ უმჯობესია, თუ ჯერ ძველ საქმეებს დაამთავრებთ. **სასწორი** – ცოტა დაბნეული ხართ. გაარკვიეთ კონფლიქტის მიზეზები და ისე იმოქმედეთ. **ღრიანკალი** – დაძაბული დღეა. წარმატების მიღწევაში დაბრკოლებები შეგხვდებათ, მაგრამ მათ გადალახავთ. **მშვილდოსანი** – შესაძლოა თქვენი პირდაპირობის გამო გარშემომყოფებთან ურთიერთობა გაგიმწვავდეთ. იყავით დიპლომატიური. **თხის რქა** – ფინანსური მდგომარეობა სახარბიელო არ არის. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. **მერწყული** – იღბალი თქვენ მხარესაა. გადაწყვეტილების მიღებისას სწორ გზას ადგახართ. **თევზები** – მოტყუების ალბათობა დიდია. ზედმეტი მიმნდობლობა და წინდაუხედაობა დაგაზარალებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვორდი №



შვეულად: 1. სატირული სიუჟეტის დრამატული ნაწარმოები; 2. დაუკოდავი ხარი; 3. ყინულზე სასრიალო აფრიანი მოწყობილობა; 4. მუნჯი კინოს ამერიკელი კომიკოსი; 6. მდგომარეობა ჭიდაობაში; 9. ფრანგული პური; 13. ქოსა მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ბუდიზმის ფუძემდებელი; 15. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 17. ნივთიერება, რომელსაც უმატებენ მადანს ბრძმედში დნობის დასაჩქარებლად; 18. ანტარქტიდის ინგლისელი მკვლევარი; 20. ჯიხვების ჯოგი.

თარაზულად: 1. ხორცისგულიანი სვანური ორცხობილა; 4. ქორვაჭრის, სპეკულანტის ძველებური სახელწოდება; 7. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 8. დასავლეთის არაბული სახელწოდება; 10. დიდი ისტორიული პერიოდი; 11. მესაქონლეობის ფერმა ლათინურ ამერიკაში; 12. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 16. ესპანური წესით დამზადებული ღორის შაშხი; 17. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 19. ფრანგი მეზღაპრე; 21. მოლდავეთის ფეხბურთელთა გუნდი; 22. იპოდრომი ინგლისში, სადაც ყოველწლიურად იმართება სამეფო დღი; 23. ფულის ერთეული კუვეიტში; 24. დილის სადილი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა